


# ლიტერატურული გაზეთი

№110 29 ნოემბერი - 12 დეკემბერი 2013

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



ანდრო ბუაჩიძე

## ოთხკედელი

„თქვენ ხართ ნათელი სოფლისა“.  
იესო

90-იანი წლები იყო, გაზეთ „მეგაპოლისში“ რომ მოვენეე სამუშაოდ. სინათლე ქრებოდა და რედაქციის ვეება დერეფანში სანთებლის შუქზე უნდა გაგეკვლია გზა. დერეფნის კვეთაზე, სადღაც შუაში, სასადილო ოთახი იყო დატანებული და სიბნელეში იაფფასიანი კერძების სუნი ტრიალებდა. ხელისცეცებით გავივლიდი დერეფანს და ჩემი სამუშაო ოთახის კარს ვაღებდი. იქ სანთელი ენთო და მაგიდასთან მსუქანი ლოთი სტილისტი იჯდა. ამ კაცს კარგახნით ადრე ვიცნობდი, მასთან ურთიერთობა იოლი იყო, უმეტესად უხმოდ იჯდა და მექანიკურად ასწორებდა მასალას. დროგამოშვებით მარჯვენა ხელს იატაკზე დადებულ პორტფელში ჩაყოფდა, არყის ბოთლს ამოაძვრენდა და პატარა ჭიქებში ასხამდა. ასეთ დროს ბრიყვული გამომეტყველება ჰქონდა – თითქოს ფრთხილი და თან შეშპარავი, ერთდროულად ლოთური და ბავშვური, ოხუნჯობა და მასხრობა მისი განუყრელი მდგომარეობა იყო, თითქოს ოხუნჯის ნილაბი სამუდამოდ ჰქონდა აკრული სახეზე. კედელზე მისი სილუეტი მოძრაობდა და მიკვირდა, რომ სადღაც, ჩემთვის უცხო ოთახში ვიჯექი ღამით, და კიდევ უფრო გვიანობამდე აქ უნდა ვმჯდარიყავი.

ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთი გაურკვეველი და უცნაური პერიოდი, როცა მე ოცდაათი თუ ოცდათორმეტი წლის ვიყავი, როცა მთელ ქალაქში უმეტესად ბნელოდა, როცა უპატრონო, გამგელებული ძაღლები ყოველ ნაბიჯზე მედევენბოდნენ, როცა რუსული „რუბლით“ იხდიდნენ ხელფასს (რა თქმა უნდა, თუ გქონდა სამსახური), როცა მუდმივად გამოდიოდა წყობიდან მეცხრე ბლოკი და მთელ ქალაქში ქრებოდა კარგახნით სინათლე, როცა მიუხედავად უსინათლობისა, ვერ ვღალატობდი ცხოვრების ჩვეულ წესს და მთელ ქალაქში დავეხეტებოდი.

II-III

ეთერ თათარაიძე

ეკა ქევანიშვილი

\*\*\*

ცასნავალა' მაქეზებს, —  
ნანვიმარ მკრებს ვერ ვერევ.

\*\*\*

კინისა მდგმი, მე ჭაქამდ  
ჩიტის გულ მქონდა, — მეგონ.

\*\*\*

ღაქაც ჯერ ნისლმ ისუნსულ,  
პარვით მოხყვ მემრ წვიმაღ

\*\*\*

წვიმს, უშენოდ რა' ვაკეთვ,  
ჩემზე უფრო დარდიან  
ცა დამხურვი თავზე,  
გულ საბუდრით ამომფთხალ  
სარკმელს ვეცემ ლოდინით  
ჩიტთ ყავ-ყივის ჭმაზე,  
„დრო წასულავ, ეთეროვ,  
დრო მიდისავ, ეთეროვ“...  
ავთირთოვდებ ჩქამზე...



## ჯარჯი ფხოველი

ანარეკლი

და ესეც მოხდა:  
პოეზიამ ჩვენს გულებში  
თავი მოიკლა!



სადღაც შიგნიდან დიდხანს ისმოდა  
მისი გმინვა და ქვითინი სააღსარებო...

და ესლა,  
როცა მოგვწყურდება  
პოეზიით თავისშექცევა,  
გულისგულიდან როცა ვცდილობთ  
სტრიქონების გამონურვას: იქიდან მხოლოდ  
გამოგვაქვს გვამის ანარეკლი:  
ისეთი რამე:  
ბნკარედს რომ ჰგავს, დაუსრულებელს...

და ანარეკლს ფურცელზე ვხატავთ  
და ვუგზავნით ერთიმეორეს:  
გულებს ვუხეთქავთ  
და ძილს ვუფრთხობთ შავ ღამეებში!

სხვისი ცოლის ლექსი

უცებ მივხვდი, მისი ცოლი არაფერ შუაშია.  
საერთოდ, სხვისი ცოლი არაფერ შუაშია.  
მეც არაფერ შუაში ვიყავი, როცა ვიყავი.  
მივხვდი დღეს,  
როცა ჩემი ფანჯრიდან  
სხვისი საძინებლისთვის  
დამიზნებული ჭოგრიტი დავშალე.  
როცა მომბეზრდა სხვისი კინო —  
იქ ყველა სიბერით კვდებოდა.  
როცა შევწყვიტე თვალღერება —  
იქ ჩემი სავარაუდო მომავალიც ჩანდა.  
მივხვდი ახლა,  
როცა ყელიდან, სულიდან ამოვუშვი  
სიყვარული.  
ახლა მისი ცოლი, უბრალოდ, შუაშია.  
მე კი — თავისუფალი.  
შემიძლია ავდგე და,  
საითაც მინდა, იქით წავიდე.



IV-V

VIII

IX







ეთერ თათარაიძე

\*\*\*
ნელა-ნელა ვემზადებ
„რა ვქნის“ ციხის გატეხად,

\*\*\*
ნეტა სიისკ გადეფარ,
აჩქარებულ მთვარეო,

\*\*\*
შირად აფე ველს ვხედავ
ყაყაჩოს ცეცხლ მოდებულს.

\*\*\*
რამდენ ცხროი-დ კანკალი
გულ-გონს გავლილ, ღმერთო,

\*\*\*
რად თავს არ დამანებებ,
რა'ს ამდ-ჩამდევი სიტყვაო,

სუ ცისკ თვალს რად მაჭერევე,

\*\*\*
მე გარევე ლექსებ მწერენ,
მე არ, უფალს გეფიცებ,

\*\*\*
ფთებსველ წერო რა'გვერც ცას,

\*\*\*
თუ სუ ეს იყო-დ მორჩა-დ
თუ სუ სევედა გველოდებ,

\*\*\*
ვერ ვიგებთავ, — ჩივიან,
მე ძველივ მით ვმღეროვარ.

\*\*\*
მიძიე ელებ გილაგავ
ლოდად დათლილ მუღლებზე,

\*\*\*
ჯავრ მჭამს, რა'გვერც ჯანგ შჭამსა-დ
ხრავს ნაუქმ ჯაჭვ-ჯავშანს,

მართლის მძებნელ მეცხრეს ვსცვეთავ
□არის სქელ ქამბალს.

\*\*\*
ჩემ არის, ჩემ, გულზე სისხლის
ყვავილშემქნარ ფარაგა?.

\*\*\*
რამდენ შხამნალევე დადის
მაინც ბადავ რიგებით,

\*\*\*
ნაყაჩოზე ხედ ნაქცევ დეკის ტყე იდგ,

\*\*\*
იდგ ცას მიმწვდარ მთა, ზედ ავხყვანდ
გვირილა'თ გვირგვინ შენამკობ,

\*\*\*
რომელ ევის წყალს ვერ გადასწრებს
მომჩქეფარე ლექს...

\*\*\*
თავის ცა-ღურბლის მონატურო,
მდულარე ცრემლებ მონანურო.

\*\*\*
ჭიუხს მთვარე ჩიხტიკოპად ედგმებ,
მასკვლავ ნელზე ემწკრივების ქამრად.

\*\*\*
მთვარეშლილობას შიშლებ ამინდი-დ ფიქრიც,
უფრო დაბურულ იწვებ ევებში ღამე,

\*\*\*
ჩემ ცხოვრების ქორბელელა'ს
მეციხოვნე აკლი,


\*\*\*
ცისკ პირაბრუნებასაც კი ვერას ვასწრებ,

\*\*\*
— რად ვერ ისვენებ, ნიავო,
რა'სამედ აზ-ჩაზიზინებ?!

\*\*\*
□აქ ქარიად მანდ ალბათ
ქარბუქს გაქვის ზუზუნ.

\*\*\*
გულიმ როდიმდ გამიძლებს
დარდით დამშვრალ, საბრალო,





# ანდრო ბუაჩიძე ოთხკედელი

დასასრული

\*\*\*

ემირი მთვრალია და თავჩაქინდრულს სძინავს. მატყ-ობინებენ, რომ არჯევანი მიხმობს და მეც შევდივარ მთავარი რედაქტორის კაბინეტში. არჯევანი და ბუდე რაღაცაზე თათბირობენ, მათ ისეთი საქმიანი სახეები აქვთ, რომ ნებისმიერი შემსწრე ამ გარემოცვაში ზედმეტად იგრძნობს თავს. უბრალოდ, მე წინასწარვე ვიცი, რომ მათი საუბრის თემა მათთვისვე გაურკვეველი სისულელეა, რაღაც სისულელეზე საუბრობენ და უკიდურესად სერიოზული გამომეტყველება აქვთ. ეს არაერთგზის გამოყენებული ხერხია, რომელიც უკვე ჩვევად ექცა. ეს ხერხი გათვლილია მათ გარემოცვაში მოხვედრილ მესამე ადამიანზე. ამ ადამიანმა არამხოლოდ ზედმეტად უნდა იგრძნოს თავი, არამედ დათრგუნულადაც. მე ველოდები, როდის მომაქცევენ ყურადღებას, მაგრამ ეს ლოდინი ჩვეულზე უფრო დიდხანს ჭიანურდება. უკვე ეჭვიც კი მეპარება, საერთოდ შემამჩნიეს თუ არა, როგორ შევედი კაბინეტში. ამიტომაც ვდგები და პროტესტის ნიშნად განათებული კაბინეტის ფანჯრიდან ქვემოთ, ქუჩაში ვიყურები. იქ წვიმს და ნაგვიანვეი მგზავრები შინისაკენ მიიჩქარიან. გუბებში სინათლეები ირეკლება. მთელი არსებით ვგრძნობ, რომ მიწა, წვიმაში ვიდგე, რომელიმე ხის ქვეშ და არაფერზე არ ვფიქრობ. მერე კი ვგრძნობ და ვხედავ არჯევანის და ბუდეს გარინდულ, ჩემსკენ მოპყრობილ, ოდნავ ცინიკურ სახეებს.

არჯევანი გარინდულია, ბიუსტივით ცივი სახით შემომყურებს. მას სახეზე არაფერი ანერია ერთი რამის გარდა, ის თითქოს მეუბნება, რომ მისი საჩემოდ განკუთვნილი დრო ამოიწურა. მის სათქმელს ბუდე ამბობს. ბუდე მოკლედ და უკმეხად მიხსნის, რომ ამა თუ იმ ინფორმაციული მასალის გამოქვეყნება-არგამოქვეყნება მე არაფრით მეხება. ამ რედაქციაში ყველაფერს მთავარი რედაქტორი წყვეტს. მოულოდნელად საუბარში ერთგვარად არჯევანი და ამბობს, რომ გაზეთ „მეგაპოლისის“ მესვეურებმა ის მაინც დაიმსახურეს, რომ რაღაც მათაც ვკითხოთ. ამის შემდეგ უხერხული პაუზაა, მერე ისევ ბუდე განაგრძობს: ვიდრე სასამართლო არ განიკითხავს იაპონელი ჭაბუკის საქმეს, მანამდე ინფორმაციების გამოქვეყნებას აზრი არა აქვს. თანაც ნებისმიერ თუ უნებლიე, მკვლელობა, მაინც მკვლელობაა, უცხო და უცნობი კაცის ჩადენილი მკვლელობა...

მე უკვე ბოლმა მეზღინება ყელში, თითქმის ვყვირი და თვითონვე მესმის ჩემი ხმა:

— იაპონელი მოითხოვს ფანჯარას, მეტს არაფერს, ფანჯარას. ის ზის უფანჯრო საკანში. ეს ყველამ ძალიან კარგად იცის... ის სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია და მასთან, ალბათ, არავინ მისულა მისივე მშობლებს და გამომძიებლის გარდა... და ასე იქნება ბოლომდე, ვიდრე რომელიმე გაზეთი არ გარისკავს თუნდაც ერთი სიტყვის დაბეჭდვას ამ ადამიანზე... მთავარია ფანჯარა, სულ მცირე გარღვევა ჩაკეტილი წრისა, სულ ერთიგვარად სარკმელი... საინფორმაციო ბიუროდან გაშვებული ინფორმაციები უკვალოდ ქრება ქვეყანაში, სადაც სინათლეს უმაღლავენ ადამიანებს...

რედაქტორი და მენეჯერი მაგრძნობინებენ, რომ უკვე აშკარად ზედმეტი მომდის. ისინი უკვე აღარც მისმენენ და თავიანთ ვინო თათბირს განაგრძობენ. ვხედავ, არაფერს აზრი აღარა აქვს. ძლიერი სურვილი მიპყრობს — წავიდე და უკან აღარასოდეს დავბრუნდე. სწრაფი ნაბიჯით გამოვდივარ კაბინეტიდან, ოთახში შეუსვლელად ვტოვებ დერეფანს და ვეშვები კიბეზე. უკვე გარეთ გამოსული მივემართები მეტროსკენ, ჩემი გასავლელი გზა უნდა გავიარო. წვიმს და არანორმალურად მსიამოვნებს წვიმაში სიარული. მეტროში შესული ნელა ვეშვები ესკალატორზე. მეჩვენება, რომ ირგვლივ არავინ არის. ალბათ, მთლიანად ჩემს თავში ვარ წასული. ვაგონში კართან ვდგავარ და ვერცკი ვამჩნევ ადამიანებს. დიდუბეში ფეხით ვანვაგრძობ გზას და, ჩემდა გასაკვირად, ვხედავ, რომ ირგვლივ სრული სიციარილეა. გვიან არის, მოვაჭრეებიც გაკრეფილან და მათხოვრებიც. უკვე იმ ჯიხურს უნდა ჩავუვარო, რომლის გვერდითაც პირალესილი მანანწალა ძაღლები ბინადრობენ. წვიმს და აქაც არავინ არის, რაც ჩემთვის კიდევ უფრო გასაკვირია. ყველგან სიბნელეა, ბენზინგასამართი სადგური კი განათებულია, მაგრამ აქაც არავინ ჩანს. სიციარილეა და ვგრძნობ ქალაქის მეორე ბოლოში, სადაც, ორთაჭალის ციხის რომელიღაც საკანში ზის იაპონელი ჭაბუკი, რომელიც ოთხკედელშია მომწყვდილი. მეც ოთხი კედელივით მარტყია ირგვლივ წყვილი და ვცდილობ მის გარღვევას. ხიფათი გერდები და მტკვარს გადაყურებ, მტკვარი არაფერს ირეკლავს, ის ცივია, მღვრიე და სწრაფადმიქროლი. ჩქარა სახლში ვიქნები, ჩემს სასთუმალთან ჩამოვჯდები და გავიძრობ დამძიმებულ ტლანქ ბათინკებს, მტკვრის შავი წყალი კი განაგრძობს დენას. და ამ ვეება უდაბურებაში ჩემს შემდეგ კიდევ ვილაც გადავივლის ხიფს, არ ვიცი, ვინ იქნება ის, ჯერჯერობით სიახლოვესაც კი არ მოჩანს. კიდევ ერთხელ ავხედავ თალს და ვფიქრობ, რომ უვარსკვლავო დამეა, წვიმა კი ცრის და შვებას მანიჭებს. პირჯვარს ვინერ და გზას განვაგრძობ, მალე ბნელ კორპუსებს შევერევი, მალე შინ ვიქნები...

\*\*\*  
ვერვინ, ვერვინ ვერ იცის,  
სიდ რა მოსრულ სიდ ჩავ,  
ადამისძის სავალ გზა  
სიდ დანყებულ, სიდ წავ...

გაქონსა, ანაჩქარალ  
ნისლებ შეგვხვდნეს ცერზე...

\*\*\*  
ლოცვით დედა არას მშვრალ...

\*\*\*  
დაშემოდგომდ გარეთა-დ  
ფერებ მქრქალდებ გულში...

\*\*\*  
აიქ, კდისთავ, თავნაქინდრ  
ვერ ღნახე წნიკვ ჩიტ?..

\*\*\*  
სიკვდილისფერ ახვიაგ  
ნახავსისფერ ხეებს,  
ოქრო წაქვა-დ ჩალა მაქვ  
სისუმესრულ დღეებს.

\*\*\*  
გაქონსა, ანაჩქარალ  
ნისლებ შეგვხვდნეს ცერზე,  
ცალად მრჩალ, ფიქრში ნახევე  
ნაძვ რო ეყუდ სერზე.  
ქიბდუხის მქრით ამოსრულ  
მთვარე რო გვეჯდ ქელზე,  
ბორბოლიჭყებ რო ბზინევედ  
მზე ტანსხვეულ ქეგზე.

\*\*\*  
სანალვლებლით მდიდარ ვარ,  
სალხინო მაქვ ნათხოვარ.

\*\*\*  
სასაობრო იმდენ მაქვის, ზღაპარსავით,  
ღრ ვერ მეწვე, სიბუქა' მოვ ჩიტიზდ.

**„ლიტერატურული კონკურსი „ჩემი განზომილება“**  
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ  
„ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ აცხადებს ლიტერატურულ  
კონკურსს: „ჩემი განზომილება“, რომლის ფარგლებშიც გამოიცემა  
მოთხრობების კრებული.

**კონკურსის პირობები:**

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 18 წლამდე მოზარდებს;
- საკონკურსოდ შეიძლება, წარმოდგენილი იყოს: მოთხრობა, ესე, ბლოგ-პოსტი, ჩანახატი;
- ავტორს ორ საკონკურსო ნაწარმოებზე მეტის წარმოდგენის უფლება არა აქვს;
- ნაწარმოების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 გვერდს (12-იანი აკადნუსხურის შრიფტით);
- საკონკურსო ნაწარმოები უნდა იყოს გამოუქვეყნებელი;
- აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ავტორის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ასაკი, ტელეფონის ნომერი და სხვა), წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაწარმოები არ მიიღება;
- ავტორის სურვილისამებრ, შესაძლებელია, ვინაობის ფსევდონიმით მოხსენიება. საკონკურსო ნაწარმოებებს განიხილავს სპეციალურად შექმნილი კომისია, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულებს.

ნამუშევრების მიღების ბოლო ვადა: 2013 წლის 10 დეკემბერი.  
მონაწილეობის მისაღებად თქვენი ნაწარმოებები გაავზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:  
nokitashvili@cync.ge ან მიიტანეთ შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას 76ბ. ტელ: 2-30-02-03  
საკონტაქტო პირი — ნათია ოქიტაშვილი: 599-85-91-38





\*\*\*

გეუბნები: როცა უფალს მოიხსენებ და წიგნს გადაშლი, როცა იგრძნობ სიტყვის სიმძიმეს, როცა ანონი მარტოობას, ცას რომ ანონი, - მოდი, ეს ერთი ცრემლიც ანონე!

**KRISIS (ძველიბრი)**

წარსულის ხმები: ისრის ზროები. ეგნე წარსულით: ლოკე მარლი! ენაში შენს სულს ევიწროება: სიტყვას გაიხდი გველის ქარივით... გაუშვებ ლექსის სიმბურვალეში: იქ მოკვდეს, მერე იშვას თავიდან... გტოვებ, სიტყვაო... ცით გაღეშილი მე განშორებას შენსას ავიტან და გიერთგულე, თუმცა ოხერმა გულმა ხომ დაგთმო სისხლში ნაწები... ერთად გავლიეთ დროის ბოჰემა: დაგვიღვია შხამი ყანწებით! მშვიდობით! თუმცა კვლავ გეუბნები, როგორ ვიცხოვრებთ უერთმანეთოდ? მოდი, დროებით გავხდეთ უბრები, მოდი, გავიყოთ გული საერთო!


**სურათები ჩამს ოთახში**

ეს ახალუხიანი წვეროსანი ჩემი პაპაა: თავზე ყაბალახი... ახალუხის საყელო შეუხსნია: სცხელა!.. ხელში უჭირავს მრუდე ჯოხი... აცვია შავი პაჭიჭები... და ქალამნები...

გულისჯიბში სანერი ქალაღი ჩანს, შესაძლოა იმ ფურცელზე დაჭრილი არწივის კვნესა ხატია...

სურათის გარშემო ჩემი შვილიშვილები: ლუკა და მათე და კიდევ თომა... და კიდევ ნანა და კიდევ ნინო...

ეს უღვაშაპრეხილი ჯიგითი ვინდა არის, რომ მეკითხები... ეგ ჩემი ძველი მეგობარია: საღვადორი ჰქვია... პირინის ნახევარკუნძულის გენოსი: აქ მოვიდა პაპაჩემის დასახატავად... მაგრამ ვერ მოასწრო: ყველაფერს ხომ არ დაგაცდის ეს ოხერი წამისოფელი...



**ჯარჯი ფხოველი**

ნეტავი მე თუ დამაცდის წამისოფელი, ყორნის ცრემლებით რო დავხატო შენი გულის მიუსაფრობა... და ეს უდაბნო, შხამდალეული, რომ შევიყვარო და გადავზომო: საბოლოოდ დავისაკუთრო!

**დანაშაულის აღიარება**

ეხლა, როცა დამნაშავე ვარ, ხელეხ არავინ გადამიგრეს, წინ არავინ გადამიდგება: არ გამიშვებს გლდანის მერვე საპყრობილეში!

აქ სუყველა თავის მწარე დანაშაულს ჩაშტერებია... ყველა თავის ნატერფალეს შლის უდაბნოში... და ქვიშით ფარავს ცხელი ქარის ამოვარდნამდე, როცა ქარი ქვიშას გადაგვის: დამნაშავის ნათესურებს მზეს დანახვებს!..

მაგრამ მზეც ხომ დამნაშავეა: დედამინის მაყურებელი, თავზე რომ გვადგას, ჩვენთვის სიტყვებს რომ არ იმეტებს: უდაბნოთა ცოდვით საესე, ჯადოქარი ცეცხლდალეული...

**გუტენბერგი**

გუტენბერგს, ნეტავ, რა უნდოდა, არავინ იცის...

გადამწერებს ჩამოართვა ყორნის ბუმბული, გადაუღვარა ყორნის ცრემლის შავი მელანი... ჩვენი წყეული ნაწერები შავ წიგნებად გადაამრავლა...

დამძიმდა ძველი წიგნსაცავები: ბიბლიოთეკის თაროები და კარადები...

და აივსო ქვეყნიერება უმუშევარი გადამწერებით... და გაივსო ქვეყნიერება წიგნებით და მკითხველებით და პოეტებით... და მომრავლდნენ გრაფომანები... და მომრავლდნენ გენიოსები... და მომრავლდა პრემიები და ჯილდოები... და გამდიდრდნენ წიგნით ვაჭრები!..

რა უნდოდა გუტენბერგს, ნეტავ? ის რომ არა, მე ხომ ნაღდად გადამწერად ვიმუშავებდი!

რა უნდოდა გუტენბერგს, ნეტავ? რა უნდოდა, რა უნდოდა, ერთი მითხარი!

**აქ შეიყვარა (ძველიბრი)**

ლექსში გადმორგე სიტყვის ყოილი. მოიპატიუე პოეტები, უსამშობლონი... დასწყევლე შენი აუტიზმი: თანდაყოლილი, დრო: შენი გულის მარბიელი: ღამის შაბლონი...

აქ გეკუთვნოდა სამყაროთა ჯავრით მოფენილს ძირს თბილი მინა: გულის მინა: თავზე: ცა ბროლის... აქ შეიყვარე წამისმსწრობი წამისოფელი, დრო: მარბიელი და უსახო ღამის შაბლონი...

\*\*\* მგზავრო, დავარცხნე სტრიქონები, მიმწუხრისანი: გულის მნიკვლში გამოვლილები...

მწვანე ეკლებს სავარცხელი რომ გაჩუქა, უდაბნოს ხეა: გზადაკარგულთა საჩრდილობელი...

შენ ის მგზავრი ხარ, ვინც ოაზისს ველარ მიაგნო!

კარგად დახედე: ამ სავარცხელს სისხლი სცხია შეუშრობელი... ეს ეკლები ხომ იმ გვირგვინის ნატეხებია, დიდმონამეს რომ დაადგეს თავზე...

მოდი, დავარცხნე სტრიქონები, მიმწუხრისანი...

დიდმონამის სისხლის შეხვმა, შენს გულში რომ იმოგზაურა, გზადაკარგულთა შავ უდაბნოში ეგებ შენს ლექსსაც ხელი უკიდოს!

\*\*\* მოდი, შევაერთოთ მე და შენი ცრემლები: 2 ცრემლი...

მე კიდევ ერთს დავამატებ: მანანას ცრემლებს, სულეთიდან რომ მოდის ჩემამდე: 3 ცრემლი...

იმათი ცრემლიც დავამატოთ, ვინც გულში ტირის: ისინი ხომ ბევრნი არიან: ათასები, მილიონები... 1 000 000 ცრემლი...

და ჩვენ უკვე ზღვაში ვდგავართ: ცრემლების ზღვაში!..

მოდი, შევაერთოთ მე და შენი ცრემლები... ხომ ცხადი არის, ჩვენ რომ ერთურთს ველარა გხედავთ, ველარა ვცნობთ ერთიმეორეს: ეგებ ცრემლებით მაინც ვიცნობთ დაწყველილი მიუსაფრობა, სანამ ეს ზღვა თავს გადაგვივლის...

\*\*\* ეს ავადმყოფი უდაბნოა, შენში რომ ცხოვრობს... შენი გულის ბინადარიც დევკენტარია: ქალაღის ფოთლებს ის აგროვებს მზის ნაწნავებით... მხრებს უღუნავს სტრიქონების დიდი სიმძიმე...

ვერ შეიფარეს მისი სიტყვა უდაბნო და ცის ფურცლებმა და ვერ აწონეს მისი დარდი, თავზარდამცემი!

\*\*\* უდაბნოში: პოეტი ვინმე...

დედამინის ნატეხებზე ცრემლით ხატავს ბოლო სტრიქონებს: აქ რომ არავინ არ დარჩება მაშინ, ალბათ, მზის ქარები ნაიკითხავენ!

**მდინარე**

გზა იყო, როგორც ლურჯი მდინარე: ნაილო შენი ნატერფალები...

და ნაილო ის სტრიქონები, რომ ვერ ამოთქვი უდაბნოში და: დავინწყების ქარს რომ მიეცი...

შენმა დარდმა ამ მდინარის წყალი ჩქვიფა გულის მცინველი... წყალს გაატანა აჩრდილეთი: ტყუილების ლიბრგადაკრული, გულის სამხეცის ბინადრები: ვითომ კაცთა ჭირისუფლები... წყალს გაატანა სიტყვები და სიზმრები და ნატერფალები...

\*\*\* ცამ აირეკლა ტკივილები, ამოკანრული შენს შუბლზე ლურსმულ წარწერებით...

ცამ გადაწერა შენი დარდი და სანვიმო ღრუბლებს აჩუქა...

ცამ დაგიბარა სტრიქონები: სამყაროთა ცეცხლი დაანთო

შენს გულში, სადაც ვარსკვლავების კამკამი ისმის: ცითმონურვილი ხმა შორეული... და ის ხალხმრავალ სულეთიდან გამოყოფილ კვნესასავით შენს დაკეჭნილ სიტყვებს ერევა: შენს ლექსში თავის ადგილს დაეძებს!



სასილის მონათველა

ძალიან მეშინოდა,  
წვერებიანი კაცი არ ყოფილიყო ცინიკოსი და მკაცრი.  
და განსაკუთრებით მეშინოდა, არ შეემჩნია,  
რომ მისი არ მჯეროდა.

დილიდან ვფიქრობდი, რა ჩამეცვა,  
რომ ვყოფილიყავი მოჩვენებით ანგელოზური და  
ცოტაც ლამაზი

საბოლოოდ, ჩავიცვი მეხიკოდან  
ჩემი ბიჭის ჩამოტანილი ფართხუნა თეთრი კაბა –  
წვრილი ლურჯი ყვავილებით.

და რადგან ბავშვობიდან ცრურწმენად დამრჩა  
– ფერისცვალობა დღეს უნდა იწვიოს, შემოვიცვი  
ჭრელი ლაბადაც.

სესილის ეცვა  
ერთი ციდა ზოლიანი რეიტუზი და ცისფერი კაბა.  
ეძინა და სულ არ დარდობდა,  
დაბადებიდან ერთი თვის შემდეგ,  
ვიღაც გოგომ როგორ მოხვია ორივე ხელი და გადანყვიტა,  
ცხოვრებაში ისიც პირველად, გამხდარიყო მისი ნათლია.

წვერებიანი კაცი კი მართლაც აღმოჩნდა ცინიკოსი  
და მკაცრი,

მაგრამ მე მისი აღარ მეშინოდა.  
რა დასამალია და, არც ვუსმენდი.  
ვფიქრობდი,  
როგორი მინდოდა გაზრდილიყო სესილი,  
რომელსაც ვნათლავდი.  
რომელსაც ვუყვიდე ჯვრიანი პირსახოცი  
და მინანქრის ჯვარი  
უზარმაზარი სანთელი და ნათლობის მოწმობაც  
და დავიცავი ყველა წესი.

წვერებიანი კაცისთვისაც არაფერი მითქვამს ურიგო.  
და როცა ყველა დადგენილ წესს გადავუარე,  
როგორც დანალმულ მინდორს,  
მე გითხარი შენ, სესილი:  
დღეს, 2013 წლის 19 აგვისტოს,  
ერთ ძალიან დიდ ეკლესიაში,  
ძალიან ოქროსფერ ეკლესიაში,  
ძალიან განათებულ ეკლესიაში  
მე შენ მოგნათლე.  
დღეიდან შენ ხარ ქრისტიანი,  
ეს კი ნიშნავს უფრო სხვა რამეს,  
რასაც გარშემო დაინახავ, რასაც მოისმენ.  
რაც ნიშნავს — ყველაფერი ისე არ ბრწყინავს  
ამ ქვეყანაში,

როგორც ტაძარი, რომელშიც ვდგავართ.  
რაც ნიშნავს, რომ  
მე შენ გაძლევი თავისუფლებას.  
გაძლევი არჩევანს.

ღიციღვანი, საპართიველი

რამე უბედურება მინდა გავიხსენო, რაც თავს ოდეს  
მე გადამხდენია.

უფრო ბუნებრივი რომ გამოჩნდეს,  
უფრო ძარღვებდაბერილი,  
როცა ვიტყვი: არა ოკუპაციას!  
როცა კამერის წინ დავდგები და ისევ იტყვი:  
არა და არა ოკუპაციას!

ეკა ქევანიშვილი

არა ჩემი ღობის გადაწვევას.  
არა ჩემი საფლავის ამოთხრას.  
ჩემი მკვდარი რაში გჭირდებათ.  
ბუნებრივად რომ ამოვლერლო,  
მუცელი მაინც უნდა ამტკივდეს.

ვცდილობ და, ერთი მრავალბალიანი  
მიწისძვრა მახსენდება,  
რომელმაც მსუბუქად დაბზარა ჩემი სახლი. ვერ დაანგრია.  
მამაჩემი კი ამ ერთი დარტყმით გააფრთხილა:  
შენს ხელეზე ძლიერი ვარო, შენს ტვინზეცო,  
შენს შრომაზეცო.

მამაჩემმა უთხრა მიწისძვრას, დამინგრევ და  
შენი აჯობებს,  
მაგ გაცხელეზულ გულს ამოგლეჯ, ისე დაგბარავ.  
მინა გაჩერდა.  
მერე, ორი კვირა მაინც გვეძინა  
ბენზინისსუნიან ავტოფარეხში,  
ლამლამობით კი ფრთხილი ძილით ველოდით დასასრულს.

მერე მოვიდა საერთაშორისო დახმარება.  
მერე ვიღაცამ გაგვამხსენვა.  
მერე თევზის ერთი კონსერვი და, მგონი,  
ბრინჯი ჩამოგვირიგეს.

მერე მოიტანეს ფუთებით ნახმარი ტანსაცმელი,  
მერე ყველა ერთმანეთზე უბედური და ღარიბი გახდა.  
და აღარავის ახსოვდა მიწისძვრა.  
ყველა ერთმანეთს გაჭირვებაში ეჯიბრებოდა.  
მერე მე მქონდა დაბზარული სახლი  
და ნითელი ჯვრის საჩუქრები.

მერე სკოლა იყო დანგრეული და კლასების ნაცვლად  
იდგა ნითელი ვაგონები.  
დიახ, ვაგონი დავამთავრე. წარჩინებულად.  
და ჩემი ერთადერთი მტერი იყო მიწისძვრა.

დღეს, ამ ამბით მინდა თავი უბედურად ვიგრძნო და  
ბუნებრივად ვთქვა, არა ოკუპაციას, არა.  
არ გამომდის — ის ბუნებრივი მოვლენაა და  
არაფრით ჰგავს

ახალ მტერს, რომელიც არაბუნებრივია და დაცოცავს.  
სამოცი ათასი კილომეტრია ჩემი მტერი.  
ქვეწარმავალია ჩემი მტერი.  
და მიწისძვრისგან განსხვავებით,  
არასოდეს ჩერდება.

უპრალოდ, ასეთია დასასრული

მე მზად ვიყავი ყველაფრისათვის.  
დღეს, როცა შენმა შხამმა უკვე დატოვა ჩემი სხეული,  
როცა ორმოცმა ადამიანმა შემილოცა,  
ამდენივემ მომისმინა,  
მას შემდეგ, რაც თავთან ამიხროლეს კაკლის ნაჭუჭები,  
გამომიწერეს ასკილის წვენები და მოცვის ნაყენები,  
აღარ მიჭირს ვთქვა ეს — მე მზად ვიყავი.  
აღარ მრცხვენია ვალიარო,  
როგორ მერჩვენა არ გქონოდა არც ერთი კარი,  
კვერცხივით გეგორავა ჩემს წინ,

მე კი უაზროდ მევლო გარშემო და მეკაკუნებინა,  
ეს ხმაც მომწონდა.  
მზად ვიყავი,  
გავარვარებულნი, დამდნარი რკინისთვის შემეშვირა ხელი,  
ოღონდ ყოფილიყავი,  
ვალიარებ, ასეთი იდიოტი ვიყავი.  
ასეც მახსოვს ეს სიყვარული,  
დამწვარი ხორცის სუნად,  
წარმართულ რიტუალად,  
ამოგლეჯილ გულად,  
თავმოჭრილ ტანად, რომელიც გრძელ კიბეზე დააგორეს.  
ხალხმა კი სიხარულისგან იხუვლა.  
მზად ვიყავი დამწვარი ხიდების კოცონი დამენთო,  
და დასალიერამდე მევლო ასე, შენზე მოკერებულს,  
როგორც ხელფეხშეკრულს მონას,  
და ყველა თხოვნაზე დამეკრიჭა კბილები.  
დღეს შემძლია ვალიარო ეს სიამოვნებით.  
როცა დაცული ვარ და გადარჩენილი.  
შენ მართალს ამბობდი —  
მე გადავრჩი და გავსუქდი.  
მე გადავრჩი და გავმდიდრდი,  
მე გადავრჩი და  
კიბეზე დაგორებული ჩემი თავი კისერზე მივიბი.  
არც ქვეყანა დაქცეულა, როგორც მეგონა.  
უბრალოდ, ჩვენ აღარ ვიცნობთ ერთმანეთს.  
უბრალოდ, ასეთია დასასრული.

ბარათი გასვლა

გარეთ უნდა გავიდე.  
ფანჯრიდან ჩავცოცდე, მოკლვა.  
გავიხედ-გამოვიხედო. ქუჩას დავადგე.  
ზებრა გადავკვეთო.


აღბათ, ისეთი მძლოლებიც არსებობენ,  
ვინც შეჩერდება და თავის დაქნევით გამატარებს.  
ქუჩაში ადამიანები შემხვდებიან, ხანდახან,  
საინტერესო ადამიანებიც.

ქუჩაში ადვილია მიხვევი სიღარიბეს.  
მიხვევი შეყვარებულებს.  
მიხვევი წელიწადის დროებს —  
ქუჩაში ზამთარი არ თბება და ზაფხული არ გრილდება.  
მიხვევი მეგობრებს, თანამშრომლებს.  
დედა და მამას მიხვევი.  
მიხვევი, მოგენატროს — აი, ისინი, როგორც იქნა,  
შორს არიან და

არა გვერდით მაგიდასთან, არა ტელეფონის ყურმილში.  
გარეთ უნდა გავიდე.  
სადაც უმრავლესობა უცნობია. უცხო ქუჩაზე  
ადრე, როცა დიდი ქალაქის არაფერი გამეგებოდა,  
ასე ვსწავლობდი ახალ ქუჩებს — ბოლო ნომრამდე  
მისვლით და უკან გამობრუნებით.

გარეთ უნდა გავიდე, ხალხნო,  
არც სადილად და არც ბავშვის სკოლიდან გამოსაყვანად.  
გაზეთების გამყიდველებთან მინდა ჩამოვჯდე.  
ნავის მანქანას თვალი გავაყოლო და  
დანაგვიანებული გულიც.  
და ასე უგულოდ ვიარო ცოტა ხანი. ასე უთქვენოდ.  
გარეთ უნდა გავიდე,  
დაზეპირებულმა დღემ რომ არ გამგუდოს.





ჭაბუა ამირეჯიბის პოსტმოდერნისტული რომანი „გიორგი ბრწყინვალე“ უჩვეულო, არაორდინალური აზროვნების მანერით აიგება. და რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მასში არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ საძიებელი მთავარი საგანი — სუბსტანცია და მისი ოთხი მიზეზი რომანში მოქმედ პერსონაჟებად „გადათამაშდება“.

მაგრამ „გიორგი ბრწყინვალე“ სირთულე მარტო ამით არ არის განპირობებული. ის ძნელად წასაკითხი ნიგნია, რადგან ავტორი თავის ყველაზე არსებით სათქმელს სიტყვებსა თუ მოხმობილ ციტატას თითქოსდა დაფაზე ცარციტ წერს და იუმორის, გროტესკის, ირონიის მოშველიებით მყის მოხერხებულად შლის და ჩვენ ისიც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ დაფაზე არც არასოდეს ყოფილა რაიმე დაწერილი.

სწორედ აქ არის ტექსტის აღქმის სირთულე, რაც ასე ოსტატურადაა გამოყენებული ავტორის წინა ორ რომანში — „დათა თუთაშხიასა“ და „გორა მბორგალში“. მკითხველის გასასულელებლად გამოყენებულ ამ ხერხს შეიძლება ვუწოდოთ: „ღია კარტებით თამაშის ხელოვნება“, სადაც მთავარი კარტი დაფარულია“ (თ. აღორნო).

მაგალითად, როცა ყველაზე არსებით საგანს ეხება, ჭაბუა ამირეჯიბი სასხვათაშორისოდ საუბრობს, ისე, რომ მკითხველმა შეიძლება არც კი მიაქციოს ყურადღება ამ ხუმრობანარევე ნაწერს. აი, რას წერს ავტორი:

„იქ, ნახარი ეკლესიის ეკვდერში, რაღაც მოხდა ისეთი, რაც მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე აღარ განმეორებულა...“

და იქვე: „ისეთი გრძობა მქონდა, ვითომ ეს არის, ახლა ჩემი გონებითა და შემართებით დავიბრუნე მტრისგან დიდი ხნის წინ წართმეული ჩემიგ მამულის ნაწილი, საზღვარზე შუბი დავეცი და ღმერთსა და ერს შევეცი, ცოცხალი თავით აღარასოდეს დამენებებინა ის არტანი, კოლა თუ არტანუჯი“.

ამ სასხვათაშორისო საუბრით, იუმორით, გროტესკითა თუ ირონიით ის ითქმის, რომ ერთდროულად ავტორი და გმირი დილიკასთან (განთიადის ქალღმერთ ეოსთან — ა.ს.) ერთად ზეცაში გადის და იქ ერწყმის ცხოვრების ხეს, ანუ უკვდავებას ეზიარება. როგორც ბიბლიიდან ვიცით, ეს ის ხეა, რომელიც ადამ და ევამ სამოთხეში ყოფნისას ვერ იკვამეს, რადგან ისინი დასჯილ იქნენ ბოროტებისა და სიკეთის, შემეცნების ხის ნაყოფის დაგემოვნებისა და, რაც მთავარია, ამ ცოდვის არ შეცნობის, არმონანიების გამო.

ამ ამბავში ყველაზე უჩვეულო და ამალელებელია, რომ გიორგი ბრწყინვალეს წინასწარ ეცნობა თავისი უკვდავი სულის მომავალი, მტრისგან წართმეული ტერიტორიების დაბრუნება, ქართული სახელმწიფოს გაძლიერება, ანუ ერის მისტიკური ორგანიზმის გამთლიანება, უკვდავებასა და მარადისობაში გადასვლა.

დასასრულს ხდება მეოთხე მიზეზის

გადათამაშება — არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ მიხედვით. ბოლოვადი მიზეზი (არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ მიხედვით — ა.ს.) მიზანია. მეოთხე მიზეზი არის „რისთვისაც“, ამბობს არისტოტელე. მეოთხე მიზეზი არის მიზეზი, რომელიც ბოლოსაა, ბოლოვადი მიზეზი, ანუ მიზანი. მაგალითად, „სახლი არ იარსებებდა, მას რომ არ პქონდეს რაიმე დანიშნულება“.

### ჟაკლინ სირაძე დაფაზე ცარციტ დაწერილი ტექსტის ნაშლის ხელოვნება

ამონარიდი მომავალი ნიგნიდან „კორიდა და მისტერია“

არისტოტელეს მიხედვით: „...ყველაფერი ხდება რაიმე მიზნისთვის, ყველაფერს აქვს მიზანი“.

ამ შემთხვევაში, რომანის ტექსტის მიხედვით, სახლი, შენობა არის ერის მისტიკური ორგანიზმი, ხოლო ქართველი ერის ზნეობრივი შენობის მშენებლები კი არიან ერთდროულად რომანის პერსონაჟები: ქრონოსი, დილიკა, ხურცი და გიორგი ბრწყინვალე.

ავტორი ხუმრობანარევეად, ისევ სასხვათაშორისოდ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთს ისევ შენობას — ისევ სიმაგრეს ადარებს. მეფე გიორგის თქმით:

„... დილიკას მიზანი, მიზნიდან მომდინარე საქციელიცა და ჩემი უხეში ჩარევით შექმნილი ვითარებაც — ყველაფერი, მთელი ეს ნაგებობა, მრავალ და სხვადასხვა სიდიდის შეცდომათა ერთობლიობაზე იდგა, როგორც მცდარად ნაგები სიმაგრე“.

სხვადასხვა სიდიდის შეცდომათა ერთობლიობა — ადამიანი ხან გაუაზრებელი, ხან შეგნებული ბოროტი საქციელის ჯამია და, როგორც ავტორი წერს, ქრონოსის აზრით, თვით სამართლიანი შურისგებაც კი ბოროტებად ითვლება. მაშასადამე, ეს ნიშნავს, რომ ქართველი ერის ნევრთა მაღლი თუ ცოდვა თავად წერს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს. რაც იმასაც ნიშნავს, რომ მათ მიერვე აიგება შენობა — სიმაგრე, რაც იგივე ქართული სახელმწიფოსა და მართლმადიდებლური ეკლესიის გაერთიანებას განასახიერებს. აი, რას წერს ქრონი (გიორგი ბრწყინვალეს ალტერ ეგო — მისი მარადისი სული):

„... ძალღობა ან მუხანათობა, გინდა აუცილებლობიდან გამომდინარე იყოს იგი — ბოროტებაა, ცოდვა არის და მისი გამოსყიდვა სახსართა შენირვით, წმინდა ადგილებში მსხემობითა და პირმოთნე, ფარისევლური მონანიებით ვერ ეგების. ცოდვას სიცოცხლეშივე ზღავ. ქართველნიცა ვზღავთ ამაღ — მონობითა ვზღავთ. გონიერნი, თუ ცხოვრებისგან ნაკვეთნიც არიან ისინი, ადვილად მიაგნებენ ხოლმე რომელი ბოროტი საქმისთვის უნიათ მსჯავრმა და უდრტვიწველად ეწვიან პასუხგების ჭაპანს“.

ამიტომაც ისევ განვმეორდები, ქართველი ერი ერთდროულად მოიაზრე-

ბა როგორც „სახლის“ არქიტექტორიც, მისი მშენებელიც და ამ სახლის საზრისი — მიზანიც.

ქრონი ეუბნება გიორგი ბრწყინვალეს: „... ცარიელზედ არ მოსულხარ, უმტკიცეს საძირკველზე იშეე შენ — კეთილნაგები ციხესიმაგრეებითა და ზეგარდმონიჭდასხმული ერით. ... უმონყალეს ცისა ქვეშე იშეე შენ — ცა იგი დასაბამიდან ნატიფ-ნახვენი ზნეობა და ყოფის წესია, რომელიც ალასრულე მხოლოდ და იქნები სრულქმნილი...“

მაშასადამე, ზნეობის შენობა, იგივე ქართული სახელმწიფო, უნდა აღაშენოს გიორგი ბრწყინვალემ, რომლის საძირკველი თავად „ნატიფი ცაა“.

ერის მისტიკური ორგანიზმი, მისი ზნეობრივი ნაგებობა კი, ავტორის განმარტებით, იმ აგურისგან აშენდება, რომელიც ადამიანმა თავისი ძალისხმევით, ნებისყოფითა და არჩევანის თავისუფლებიდან გამომდინარე შექმნა. აგურები კი თავად ყოველი ადამიანია. აქ ავტორი ამუშავებს შუმერთა თქმულებას იმის შესახებ, რომ „შუმერები ადამიანს აგური-სას ექახდნენ, რადგან თიხისგან გამოძერწა ენქიმ, პირველმა ადამიანმა — ადამმა (გვიანდელმა ეამ).

და ავტორი ასეთ ინტერპრეტაციას გვთავაზობს:

„... აგური-კაციის ნახელავი გამომწვარი თიხაა. კაციც ხომ თიხიდან მოიხელოვნა ღმერთმა! მერე კაცმა ღმერთს მიჰბადა — მოზილა თიხა, სასურველი მოყ-

მულობა. სხვაგვარად, ის მუდამ აღმატებულა თავის თავს.

ჟან-პოლ სარტრი სწორედ ამ აზრით წერს:

„არსებობა წინ უსწრებს არსებას“.

ანუ ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებით:

„ღმერთს ცეცხლში არ გამოუნვავს ადამი“, ანუ ცეცხლში არ გამოწვა, ანუ ღმერთმა ადამს (ადამიანს) საკუთარი ნების თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება უსახსოვრა და მაშასადამე, თავად ადამიანმა უნდა გამოსწვას თავისი თავი, ანუ თავად უნდა შექმნეს აგურად.

აგური-კაცი ის ზნეობრივი ბიჯია, საყრდენია, რომელზედაც ეფუძნება ქვეყანა, ერი, ხოლო კაცი მანამდეა მერყევი, ვიდრე არ შექმნის, არ გამოსწვავს თავის თავს, ანუ ვიდრე თავის თავს ზნეობრივ კაცად არ ჩამოაყალიბებს, ზნეობრივ საქმეებს არ ალასრულებს დედამიწაზე.

რაც იმასაც ნიშნავს, რომ ადამიანმა თავის მოქმედებაზე, თავისი ცხოვრების ყოველ ბიჯზე პასუხისმგებლობა დაიკისრა, რადგან მისი ზნეობის შენობა — ადამიანის მიერ გადადგმული ზნეობრივი ბიჯისაგან, ანუ აგურებისგან აიგება.

ავტორი ასეთ ინტერპრეტაციას გვავანდებს:

„...კაცმა ღმერთს მიჰბადა — მოზილა თიხა, სასურველი მოყვანილობა მისცა, გამოსწვა...“

ანუ თავის სურვილს, ზრახვას და ქმედებას ფორმა მისცა; ეს ფორმა კი, როგორც აღვნიშნეთ, აგურია.

მიჰბადა ღმერთს, მიზნისკენ სვლის, ანუ შენობის ქმნის, აგურ-აგურ, თანდათანობით შენების ხერხი გამოიყენა. ასე ისიც ითქმის, რომ ზნეობის შენობის აშენება არის კაცთათვის მიზნისკენ სვლა, ანუ ღმერთის მიზაძვა, ზეციური კანონების, ღვთიური სიმართლისადმი ბაძვა.

ავტორი სასხვათაშორისოდ, მოჩვენებითი უდარდელიობითა და ხუმრობანარევი ტონით იმ უარსებითესი საგნის შესახებ წერს, ის, რის გარშემოც ფაქტიურად ტრიალებს ნიგნის დედააზრი.

და ისევ ვიმეორებ:

რომანი „გიორგი ბრწყინვალე“ ძნელად წასაკითხი ნიგნია, რადგან ავტორი თავის ყველაზე არსებით სათქმელს, სიტყვებსა თუ მოხმობილ ციტატას თითქოსდა დაფაზე ცარციტ წერს და იუმორის, გროტესკის მოშველიებით მყის მოხერხებულად შლის, რომლის დროსაც ჩვენ ისიც კი გვეჩვენება, რომ დაფაზე არც არასოდეს ყოფილა რაიმე დაწერილი.


ვანილობა მისცა, გამოსწვა... მიჰბადა ღმერთს, მიზნისკენ სვლის, ანუ შენობის ქმნის, აგურ-აგურ, თანდათანობით შენების ხერხი გამოიყენა. ღმერთს ცეცხლში არ გამოუნვავს ადამი — კაცთა პირველსაწყისი. კაცმა გამოსწვა აგური. აგური მყარია, კაცი მერყევია, რამეთუ არ გამოუნვავს იგი ღმერთს. კაცმა თავად უნდა გამოსწვას თავისი სიმყარე და ერის საქმისთვის თავდადება“.

ავტორის სიტყვები რომ გავიმეოროთ: „ღმერთს ცეცხლში არ გამოუნვავს ადამი — კაცთა პირველსაწყისი“, მაგრამ აქვე ითქმის, რომ „კაცმა გამოსწვა აგური“, ანუ აგური — ზნეობრივი ადამიანი, მისი ზნეობრივი ბიჯი — ცეცხლში — სამყაროს არსში, ცხოვრების დულილში ყალიბდება და ფორმდება.

და ავტორი ისევ გაიმეორებს ამ აზრს:

„... აგური მყარია, კაცი მერყევია“.

„აგური მყარია“, — თავის ძალისხმევაში გამობრძმენდილ კაცზე ითქმის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის უფრო მეტია, ვიდრე ბუნებითი მოცემულობა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ადამიანი თავის თავად — მისი ბუნებითი მოცემულობა ჯერ კიდევ არ არის ადამიანი, რადგან ის მუდამ უფრო მეტია, ვიდრე მისი ბუნებითი მოცე-



რომანი

# ლიტერატურის უცვლელი კერა

მწერალთა სახლი მართლაც განსაკუთრებული სივრცეა არა მხოლოდ იმიტომ, რომ გახსნილია ლიტერატურისთვის, წიგნისთვის, მწერლისთვის, მკითხველისა და, ზოგადად, ხელოვნების ნებისმიერი სფეროსთვის, მისი წარმომადგენლისა თუ თავ-ვანისმცემლისთვის, არამედ იმიტომაც, რომ აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, გასაოცარი მაღლიერების სული ტრიალებს, აქ მოდიან ამ განცდით სავსე ადამიანები და ნებისმიერი საღამო, შეხვედრა თუ ღონისძიება იწყება მადლიერების გამოხატვით სხვა ადამიანისადმი, რომელიმე ჯგუფისა თუ ორგანიზაციისადმი. მოკლედ, აქ ყველაფერი მაღლობით, პატივისცემის დადასტურებით იწყება და როგორც ნებისმიერი სათნოება, ესეც ყველაფერზე მოქმედებს, ყველაფერში აისახება, იქაურობას უჩვეულოდ ავსებს და მწერალთა სახლში ერთხელ მისულს, აქით მეორედ, შესამდგომად მოგვეჩვენებ, მერე რა, რომ საღამოობით ქალაქის ქუჩებში შექმნილი საცობების გამო ძნელად გადაადგილდები. მაჩაბელზე მხოლოდ პრეზენტაცია, ლიტერატურული საღამო თუ გამოფენა კი არ გიზიდავს, რაღაც სხვა, მხოლოდ ამ სახლს რომ აქვს, მხოლოდ აქ რომ გრძნობ.



\*\*\*

...ამბვარს შესავლის შემდეგ შეუძლებელია, მაღლიერება არ გამოხატო მწერალთა სახლის დირექტორის, ნათა ლომოურის და სახლის თითოეული თანამშრომლის მიმართ, რომელნიც ასე გაისარჯნენ და შთამბეჭდავი, სამახსოვრო, სავსე ღონისძიება მიუძღვნეს დავით სარაჯიშვილის ხსოვნას — მისი დაბადებიდან 165 წლის აღსანიშნავად კვირეული გამართეს. მათი ძალისხმევით, დავით სარაჯიშვილი ახლიდან წარმოჩინდა თანამედროვე ქართველების წინაშე, კვირეულის სტუმრებმა მისი ცხოვრებიდან არაერთი უცნობი ფაქტი შეიტყვეს, მივიწყებული გაიხსენეს.



ყველაფერზე უნდა იყო პატიოსანი ადამიანი, ეს უფრო მეტია ვიდრე იყო მილიონების პატიონი  
დავით სარაჯიშვილი 165

ღონისძიება მწერლისა და ქველმოქმედის ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი ფოტოგამოფენით დაიწყო და კვირეულის განმავლობაში შესაძლებელი გახდა, ფოტოებში ასახული დავით სარაჯიშვილის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი გაცოცხლებულიყო. გარეთ, მაჩაბელის 13-ის შესასვლელთან ნატურალური ზომის ბანერი იდგა სარაჯიშვილის გამოსახულებით და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თავად დავითი ეგებებოდა სტუმრებს და იწვევდა შინ იმ ძველი დროის გასახსენებლად, გიმნაზიაში რომ სწავლობდა და წარმატებით დამთავრების აღსანიშნავად დასთან ერთად რომ გადაიღო სურათი, პეტერბურგის, მიუნხენის, ჰაიდელბერგის, ჰალეს, ჰოჰენჰაიმის უნივერსიტეტებში რომ იღებდა განათლებას, პირველი ქართველი რომ იყო ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით, საფრანგეთში სოფლის მეურნეობის საფუძვლებს, ბუნებისმეტყველებასა და პოლიტიკურ ეკონომიკას რომ სწავლობდა, კონიაკის წარმოების თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას სიღრმისეულად რომ დაეუფლა და ყველაფერი ეს კონიაკის ქართულ მატიანეს და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას რომ დაუდო საფუძვლად.

კვირეულის დასკვნით ნაწილი მიეძღვნა კონფერენციას, სადაც დავით სარაჯიშვილის მაგალითზე დანვრდებით და ძალზე საინტერესოდ იყო წარმოდგენილი, თუ როგორ შეიძლება ერთი ადამიანის ძალისხმევით ქვეყანა, საზოგადოება რეალურად შეიცვალოს. სწორედ მისი

მეცადინეობით დანყებულა საქართველოს ისტორიაში ევროპული სტანდარტის შესაბამისი პროდუქციის — პირველი სამამულო პროდუქციის წარმოება, პირველს შემოუტანია და დაუნერგავს წარმოებაში ბოთლი, კასრი, სწორედ მის ქარხნებში გაჩენილი ახალი სოციალური ტიპი — მუშა, პირველს დაუსაქმებია ქარხნებში ადამიანები, რომელთაც უხდოდა ჯამაგირს, ასარგებლებდა უფასო სასაბილოთი, შემოუღია ბიულეტენისა და შვებულების ევროპული სტანდარტი, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობის კულტურა. შემდეგ უკვე მისი ქარხნიდან შემოსული თანხით, პირველმა დაუნიშნა სტიპენდიები ახალგაზრდებს, დააფინანსა მათი ევროპული განათლება და ზოგადად, საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა აჩვენა სოციალური პასუხისმგებლობის არნახული მაგალითი. ამ სახლში მოსული თითოეული ადამიანისგან თქმული „მადლობა“, ალბათ, დავითისთვის ნათქვამი მადლობაც არის.

\*\*\*

მადლიერი მკითხველი შეიკრიბა მწერალთა სახლში ჟურნალ „არილის“ პრეზენტაციაზე — მკითხველი, რომელიც ჯერ კიდევ წლების წინ კითხულობდა ჟურნალს და მისი დახურვიდან რვა წლის განმავლობაში იმედით ელოდა გამოცემის განახლებას. ასეთი გულშემატკივარი „არილის“ ყოველთვის ბევრი ჰყავდა და პრეზენტაციაზე დარბაზი არილელებით გაივსო. წარმოდგენილი იყო ჟურნალის განახლების შემდეგ გამოცემული სამივე ნომერი. გარეკანზე გამოტანილი მთავარი თემები კი გვინვევდა ზვიად რატიანის ახალი ლექსების, იან მაკიუენის ორი მოთხრობისა და რეზო ჭყვიშვილის საფირმო სტილის დასაგემოვნებლად.

ჟურნალის რედაქტორებმა — მალხაზ ხარბელიამ და შადიმან შამანაძემ — დიდი სიხარული და მაღლიერება გამოხატეს სტუმართა სიმრავლის გამო. გვიხარია, რომ რვა წლის შემდეგ განახლებული გამოცემის პრეზენტაციაზე ამდენ ხალხს ვხვდებით, რვა წელი ცოტა არ არისო. ახალ „არილზე“ საუბრისას კი ბატონმა შადიმანმა ბრძანა: „ეს არც იმავე დინებაში შესვლაა და არც — ორჯერ შესვლა. ეს „არილის“ ახლიდან დაბადებაა. ახლა სხვა დროა, წლების განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ქვეყანაშიც, ლიტერატურაშიც, გარდა მთავარი ღირებულებებისა, რისი ერთგულიცა და დამამკვიდრებელიც, ჩემი ღრმა რწმენით, იყო და რჩება „არილი“... ჯერ მხოლოდ პირველი სამი ნომერი გამოვიდა. დარწმუნებული ვარ, პერიოდულიობა აღარ განყდება და ადგება ის ფორმა, ჩამოყალიბდება ის ურთიერთობები, რითიც ეს ჟურნალი ძვირფასი იყო ჩვენთვის და მკითხველისთვისაც. მგონი, შევძლებთ ამას. დიდი მადლობა კულტურისა და

ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომ ამ გზაზე პირველი ნაბიჯი გადაგვადგვიტანა და თუ ერთი-ორი წელიწადიც შეგვაშველებს ხელს, მერე იქნებ ჩვენიცა გავიაროთ“.

შემდეგ ბატონი შადიმანი ფეხზე წამოდგა და პატივი მიაგო „არილის“ ერთ-ერთი პირველი ავტორების, ერთგული არილელის ზაზა თვარაძის, თემურ მალაფერდისა და ვახტანგ როდონიას ხსოვნას.

პრეზენტაციას კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც „არილის“ გამოსვლა მიულოცეს და წარმატება უსურვეს.

საგანგებოდ დამონტაჟებულ ეკრანზე „არილის“ ძველი ნომრების ფოტოები ჩნდებოდა, დარბაზში უმეტესობა ძველ გამოცემებს ცნობდა და მათ შინაარსზე მოკლე კომენტარს ადგილიდან ნამოიძახებდა ხოლმე. გამომსვლელი კი ისე ნუნუნდნენ ძველი „არილის“ რედაქციის შინაურულ, თბილ გარემოს, თითოეულ ნომერთან დაკავშირებულ პატარა-პატარა, საინტერესო ამბებს. ლევან ბრეგაძემ მხატვრულად აღადგინა „არილის“ რედაქციის მთელი მარშრუტი — დანყებულ პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე სკოლის ერთი ოთახიდან, გაგრძელებული ბესიკისა და ინგოროყვას ქუჩებით. დაუვინყარი დღეები გვექონდა „არილთან“ ერთად, იქ მისვლას არაფერი ჯობდა, ვისაც ლიტერატურა უყვარდა, ყველას იქით მიეჩქარებოდა, განაცხადა ბატონმა ლევანმა და იქაური გარემო XIX საუკუნის დასაწყისის ამერიკულ რედაქციებს შეადარა.

გიორგი კეკელიძემ კი ისაუბრა იმ კონტექსტზე, რომელიც თავის დროზე „არილიმ“, „ალტერნატივამ“ და „ჩვენმა მწერლობამ“ შექმნა და რამაც ქართულ მწერლობაში ახალი თაობის მოსვლა მნიშვნელოვნად განაპირობა. საღამომ გვიანობამდე გასტანა, ბოლოს სტუმრებმა და მასპინძლებმა „არილის“ დაბრუნება ჭიქა ღვინის ანევიით აღნიშნეს.

\*\*\*

ამოციურად და ინფორმაციულად დატვირთული იყო თამთა მელაშვილთან შეხვედრაც. მწერალს კიდევ ერთხელ მიულოცეს გერმანიის ეროვნული ლიტერატურული პრემია ახალგაზრდულ ლიტერატურაში ნიგნისთვის „გათვლა“. მიულოცეს ასევე ნიგნის მთარგმნელს, ნათია მიქელაძე-ბახსლიანს, რომელმაც იგივე ჯილდო საუკეთესო მთარგმანისთვის დაიმსახურა. „გათვლის“ წარმატების შესახებ არაერთხელ დაინერა და ითქვა, თუმცა, ალბათ, ბევრმა არ იცოდა, რომ გერმანიის ეროვნული ლიტერატურული პრემიის ჟიურის წევრებისა და თამაჯდომარის მიერ „გათვლა“ შემდეგი კრიტერიუმით შეფასდა — ენობრივი სიზუსტით და მხატვრული სტილით, ასევე იმითაც, რომ ლოკალური თემა ასე ოსტატურად ეხმიანება მსოფლიო ღირებულებებს. შევიტყვეთ ისიც, რომ კონკურსის ფარგლებში, როგორც წესი, ქვეყნდება ერთგვარი რეცენზია, სადაც განმარტებულია, თუ რისთვის დიმიტურა ამა თუ იმ ნაწარ-

მთემა ჟიურის მოწონება და რატომ ეგრე სწორედ მას ასეთი საპატიო ჯილდო. „გათვლა“ დაახლოებით ასე შეფასდა: „ავტორი თხრობის მანერით არ ცდილობს მკითხველის ემოციურ გაცურებას. არატრადიციული და უჩვეულო მხატვრული სტილით მას მომხდარი ამბის თანამონაწილედ აქცევს...“ ბევრი ნიგნი დანერვილა ომზე, ბევრი ნავიკითხავს, მაგრამ „გათვლა“ სწორედ თამთას მიერ შექმნილი განსაკუთრებული ენის გამო მოქმედებს ჩვენზე, რომანის მუსხს, რომელიც ასეთი მძლავრია, სწორედ მისი ენის საშუალებით ვგრძნობთო, — უთქვამს დაჯილდოვების ცერემონიაზე ჟიურის თავმჯდომარეს.

მწერალს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ნიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელმა და მეტრეველმაც მიულოცა. ქალბატონმა დეამ შეახსენა დამსწრეთ, რომ პროგრამა 2010 წლიდან მოქმედებს, ინტენსიურად აფინანსებს ქართველი ავტორების ნაწარმოებთა უცხოურ ენებზე თარგმანასა და გამოცემას, „გათვლაც“ სწორედ პროგრამის ფარგლებში ითარგმნა და 2012 წელს ცნობილი შევიცარული გამომცემლობის მიერ დაისტამბა. ახლახან „გათვლა“ რუსულადაც თარგმნეს.

ითქვას ისიც, რომ თამთა ერთი საინ-



ტერესო ნიგნის შედგენაზე იმუშავა. ნიგნი ეძღვნება XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე, თანამედროვე საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ ქალბატონს, კატო მიქელაძეს — ფემინისტს, სუფრაჟისტული მოძრაობის აქტიურ წევრს, ჟურნალისტს და ქუთაისში ქართული ფემინისტური გაზეთის — „ხმა ქართველი ქალისა“ — გამომცემელს. ნიგნი სულ მალე გამოვა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მწერალმა თქვა, რომ მუშაობას იწყებს ახალ რომანზე. თამთა მელაშვილს მწერალთა სახლი და მისი სტუმრები დიდი ხნით არ დამშვიდობებინა, კატო მიქელაძეზე მიძღვნილი ნიგნის პრეზენტაცია ხომ 4 დეკემბერს მაჩაბლის ცამეტშია დაგეგმილი.

ნოემბრის თვეში მწერალთა სახლში არაერთი სხვა საინტერესო ღონისძიებაც გაიმართა: „საუბრები ლიტერატურაზე“ გიგა ზედანიასთან, ლევან გიგინეიშვილთან, დიმიტრი თუმანიშვილთან ერთად, ცოტენ ჩიქოვანის ნოველების კითხვა, ალექსანდრე ლორთქიფანიძის პოეზიის საღამო, „ვისაუბროთ ნიგნებზე“ პაატა შამუგაასთან ერთად, შეხვედრა მთარგმნელ მერაბ ფიფიასთან, შეხვედრა „საბას“ წლევანდელ ლაურეატ ალექს ჩიღვინაძესთან და ასე შემდეგ.

მაჩაბლის 13-ში ლიტერატურული შეხვედრები არ წყდება...



რედაქტორი

შოთა იათაშვილი

ყოველთვიური ჟურნალის „ახალი საუნჯის“ შექმნის იდეა გამომცემლობა „საუნჯის“ დირექტორს, ვაჟა ნონკოლაურს ეკუთვნის. იდეის განხორციელება მან შოთა იათაშვილს მიანდო, რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, პერიოდული გამომცემების რედაქტორობის დიდი გამოცდილება აქვს. დაიწყო კიდევ მუშაობა, რამდენიმე ნომერი გამოცემა, მაგრამ მალევე, როგორც ხშირად ხდება, ფინანსურმა პრობლემამ იჩინა თავი და ჟურნალის არსებობას საფრთხე დაემუქრა. საბოლოოდ ყველაფერი მკითხველისთვის სასარგებლოდ დასრულდა — კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობამ „ახალ საუნჯეს“ ახალი სიცოცხლე და ფინანსური მხარდაჭერა მოუტანა.

ჟურნალის რედაქტორს, შოთა იათაშვილს გამომცემლობაში შევხვდი, მობილურით ესაუბრებოდა ავტორს... მერე მითხრა: „ასე გახდით მონაწილე, თუ როგორ რჩები ავტორის მეგობრად მაშინაც კი, როცა არ ბეჭდავთ მის ტექსტს“. შემდეგ ავტორებთან ურთიერთობაზე, ტექსტებზე, კონტექსტებზე და, საერთოდ, „ახალი საუნჯის“ ცხოვრებაზე ვისაუბრეთ.

— „ახალი საუნჯის“ გარეკანზე წერია „ტექსტებისა და კონტექსტების ჟურნალი“. რა იგულისხმება?

— ყოველთვის მალიზიანება ზოგადი განმარტებები, როგორცაა, მაგალითად, „ლიტერატურულ-საზოგადოებრივი“, „შემეცნებით-ფილოსოფიური“, ან რაღაც ასეთი. თუ განმარტებაა, უფრო კონკრეტული და კონცეპტუალური უნდა იყოს ან საერთოდ არ იყოს. „ახალი საუნჯის“ განმარტებაზე ბევრი არც მიფიქრია. პერიოდულ გამოცემებზე მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს და ყოველთვის ვამჩნევდი, რომ ხშირად ტექსტი კი არ განსაზღვრავდა კონტექსტს, არამედ პირიქით, კონტექსტი — ტექსტს. ანუ იქმნებოდა კონტექსტი და მასში ენერგებოდა ტექსტი, ან ტექსტი. „ახალი საუნჯის“ შემთხვევაშიც ასეა. თუნდაც მე-5 ნომრის ისტორია რომ გავიხსენოთ. რედაქტორის წინააღმდეგობის გამოც დაიწყო. ჩვეულებრივ ვანწყობდი ჟურნალს და ვგრძობდი, რომ ტექსტებს რაღაც საერთო ჰქონდა, რაღაც უხილავი კავშირი იყო მათ შორის. და უცებ გამოჩნდა აზრი, რომ ისინი ლუზერების ტექსტები იყო, ან — ლუზერებზე დანერგილი ტექსტები. ანუ ჟურნალის თემა — ლუზერები, თავისთავად იმ ტექსტებმა მოიტანა. თუმცა, სხვა შემთხვევაში, პირიქით შეიძლება მოხდეს, კონტექსტი წინასწარ მოიფიქრო და ტექსტები მასთან შესაბამისობაში მოიყვანოს. ეს ერთგვარი დინამიკაა. მთავარია, რომ ორივე ერთდროულად არსებობდეს. ყოველთვის ამას ვცდილობ. არ შეიძლება, ჟურნალში მექანიკურად, კონცეფციის გარეშე ჩაყარო ტექსტები. ადამიანს სახელს რომ არქმევ, ის ხომ ბედისწერასავითაა. ერთს ჰქვია გიორგი, მეორეს — შოთა, რაღაცას — ტექსტი, სხვას — კონტექსტი, იმას — „ახალი საუნჯე“, ამას — „ლიტერატურული გაზეთი“. სახელს ძალა აქვს, ის არის განმსაზღვრელი.

სწორედ ერთიანობის თუ მთლიანობის შთაბეჭდილება დამრჩა, როცა „ახალი საუნჯის“ რამდენიმე ნომერს გავეცანი. თითქოს, ტექსტებს შორის ერთგვარი გადაძახილი იყო, ერთი მეორეს აგრძელებდა, გააზრებულად, კონცეპტუალურად. მთავარი რუბრიკა — „ნომრის ავტორები“ — კი ერთგვარად კრავს მთელ ნომრებს, ასე მგონია.

— აქაც დავაზუსტებ. პირველ რუბრიკაში — „ნომრის ავტორები“ — ერთი ქართველი და ერთი უცხოელი ავტორი გვყავს ხოლმე. ჯერ ქართველებზე ვთქვათ — ახლა ვამზადებთ მასალას ჯარჯი ფხოველზე, რომელსაც ცოტა ხნის წინ 70 წელი შეუსრულდა. ის სულ სხვა ფენომენია, ჩემი აზრით. ძალიან თანამედროვეა თავისი ცნობიერებით. ჯერ კიდევ როდის

დაიწყო თანამედროვე ყაიდის პოეზიის წერა. ამავე დროს, ის არის პოეტი, რომელსაც ბოლომდე თითქოს ვერ ხედავენ და ვერ აფასებენ, ვერ აღიქვამენ. წინა „ნომრის ავტორი“ ბათუ დანელია იყო, იმის წინ — ლია ლიქოკელი, სულ ახალგაზრდა თაობის პოეტი. ასეთი ავტორების ირგვლივ ვაკეთებთ დაახლოებით თექვსმეტოცგვერდიან მასალას, მათ ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე ვყვებით, მათ სხვადასხვა

**„**  
**ბასარი სპია**  
**ბეჭრი**  
**რამ**  
**“**



ტიპის და სხვადასხვა პერიოდის ტექსტებს ვაქვეყნებთ. ჩვენ ვცდილობთ იმ ადამიანებზე — თუნდაც ძალიან კარგ ავტორებზე, რომლებიც, კარგი გაგებით, ზედაპირზე არიან, ჩანან, რომელთაც კითხულობენ, იცნობენ, ვისგანაც ხშირად იღებენ ინტერვიუსებს, ვისაც ლიტერატურული სამყარო კარგად იცნობს — ნაკლებად გავაკეთოთ ორიენტაცია. ჩვენ უფრო ის ავტორები გვაინტერესებს, რომელთაც შეიძლება, ლიტერატურული საზოგადოება ასევე კარგად იცნობს, მაგრამ მათი ცხოვრებისეული მომენტები, მათი საიდუმლოებები, მათი გულსტიკივილი მაინც ნაკლებადაა ცნობილი. ჰოდა, აი, ესეც კონტექსტია, ალბათ — ის კონტექსტი, რომელსაც არ ვულალატებთ.

— იგივე ორიენტირია უცხოელ ავტორებთან დაკავშირებითაც, არა?

— უცხოელებს რაც შეეხება, გვაქვს სურვილი, რომ ყოველ ახალ ნომერში თითო ახალი ავტორი შემოვიყვანოთ. ისინი, ვისი ტექსტებიც ქართულად აქამდე არ უთარგმნიათ. როცა ჟურნალის პირველ ნომერზე ვმუშაობდით, სანამ ჩამოყალიბდებოდა ეს იდეა, ვებეჭდავდით ისეთ ავტორებსაც, რომელთა თარგმნის გარეშე უცხოელი ავტორებიც, ასე თუ ისე, არსებობდა. შემდეგ გამოიკვეთა ორიენტირები და უკვე მე-4 ნომრიდან მკითხველს ვთავაზობთ პორტრეტებს იმ მწერლებისა, რომ-

ლებიც ქართულ ლიტერატურულ სივრცეში პირველად შემოდიან. ასეთი იყო მე-4 ნომერში უკრაინელი სერგეი ჟადანი — სადღესოდ პირველი მწერალი უკრაინაში და ყველაზე ძლიერი ლიტერატურული ფიგურა, თუ შეიძლება, ასე ითქვას. ამასთან, ყურადღებას არ ვაქცევთ, ავტორი თანამედროვეა, თუ ძველი ეპოქის კლასიკოსი. მე-5 ნომერში გვყავდა კარინ ბოიე, შევდი პოეტი და პროზაიკოსი, რომელიც ასევე არ იყო ნათარგმნი და პირველად წარუდგინე დაიბეჭდა. მე-6 ნომერში მკითხველმა ავსტრიელი ცოცხალი კლასიკოსი ფრიდერიკე მაიროპერი გაიცნო. მომდევნო ნომერში თანამედროვე პოლონელი ავტორის, თადეუს შიმპროვსკის პორტრეტი შეიქმნება. იგი ზვიად რატიანის მეგობარია, მეც კარგად ვიცნობ, ერთმანეთი კიევიში გავიცანით და მოგვიანებით, პოლონეთში ყოფნისას მოვეხსენებ. პირადი ურთიერთობები ხანდახან დადებითად მოქმედებს ხოლმე. დომბროვსკი, რეალურად, ერთ-ერთი ძლიერი ფიგურაა პოლონეთში, ჩვენი თაობის გამორჩეული ავტორია, ისე როგორც ჟადანი — უკრაინაში. სხვათა შორის, ზვიად რატიანმა პირველად „ლიტერატურულ

გაზეთში“ გამოაქვეყნა მისი ლექსების თარგმანები. ახლა მეორე პუბლიკაციას ამზადებ — დაიბეჭდება ლექსები, მოთხრობაც, ინტერვიუები მასთან, კრიტიკული წერილი მის შესახებ...

— გარდა ზვიად რატიანისა, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც გეხმარებათ, „ნომრის ავტორისთვის“ მოიძიოთ, შეარჩიოთ მწერლები, შექმნათ მათი პორტრეტები?

— ეს ყველაზე რთული პროცესია. გაფაცვიცებელი უნდა იყო. მაგალითად, კარინ ბოიეს შემთხვევაში ასე მოხდა: მანანა კობახიძემ შემომთავაზა კონკრეტული პუბლიკაცია მისი ლექსებისა და, ზოგადად, ბოიეს შემოქმედების შესახებ მომწერა. დავინტერესდი და ვუთხარი, მოდი, ცოტა ხნით გაგაჩეროთ პუბლიკაცია, დაგვამოთ ჟურნალი და ავტორი ფართოდ წარმოვაჩინოთ-მეთქი. მანანამ ორი მთარგმნელი ჩართო, რამდენიმე თვე ვიმუშავეთ. ასე რომ, წინასწარ თუ არ დაგეგმე, ვინ იქნება „ნომრის ავტორი“, არაფერი გამოვა. მე-6 ნომერი კი შედარებით სწრაფად გაკეთდა. ჩაფიქრებულნი გვქონდა თადეუს შიმპროვსკიზე მოგვემზადებინა მასალები, მაგრამ სამუშაო გაგვენდა და გვიშველა დათო ბარბაქაძემ, რომელმაც შემოგვთავაზა ავსტრიელი ფრიდერიკე მაიროპერი. მისი ტე-

ქსტები და მის შესახებ სათარგმნად გამზადებული სხვადასხვა ტიპის მასალა უკვე შერჩეული ჰქონდა. სამომავლოდ, ნორვეგიელი ავტორის დაბეჭდვაზე ვფიქრობთ — მანანა მათიაშვილმა უნდა წარმართოს ეს პროცესი. გარდა ამისა, შეგვეხმაინა რაულ ჩილაჩავა, პატარა პუბლიკაციის გამოქვეყნება შემოგვთავაზა. დიდი ხანია, უკრაინაში ცხოვრობს, ლატვიაში უკრაინის ელჩი იყო, ორივე ენიდან ინტენსიურად თარგმნის და, რაკი უკრაინელი ავტორი უკვე გვყავდა, ვუთხარი, იქნებ რომელიმე ლატვიელი ავტორი დავბეჭდოთ-მეთქი. მასალები უკვე გამოგვიგზავნა და, ალბათ, დეკემბერის ნომერში ლატვიელ მწერალს გავაცნობთ მკითხველს. ვფიქრობთ ფრანგ და იტალიელ ავტორებზეც. მიწადა, გეოგრაფიული არეალი მაქსიმალურად გავზარდოთ. ანუ, როგორც მიხვდით, ზოგჯერ შეიძლება, რომელიმე პუბლიკაციისგან რაღაც იმპულსი წამოვიღო და მიხვდე, რომ აქედან კარგი მასალა გამოვა „ნომრის ავტორისთვის“. თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება, კითხულობ და ხვდები, რომ ეს კონკრეტული პუბლიკაციაა, მეტი არაფერი.

— თუმცა, უნდა ითქვას, ძალიან საინტერესოა და წარმოდგენილი სხვა რუბრიკებიც — „პოეზია“, „პროზა“, „ესეისტიკა“, „დებიუტი“.

— მნიშვნელოვანია, როცა ლიტერატურულ სივრცეში ახალი ავტორი ჩნდება, ამისთვის ყოველთვის მონადინებული ვიყავი და ბევრი თანამედროვე ავტორი, რომელიც დღეს ლიტერატურულ პროცესს განსაზღვრავს, ჩემ მიერ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული იბეჭდებოდა. რაც შეეხება „პოეზიას“, ხშირად მინახავს უცხოურ ლიტერატურულ გამოცემებში, სადაც ჩემი, ჩემი მეუღლის თუ მეგობარი პოეტების ლექსები იბეჭდება ხოლმე, რომ ერთი გვერდი ერთი ავტორისაა, მეორე — მეორისა და ასე შემდეგ. და არა აქვს მნიშვნელობა, ავტორი ახალია, ნობელის პრემიის ლაურეატი, თუ კლასიკოსი — ბეჭდავენ ხშირად თითოთითო ლექსს, მაქსიმუმ — ორს ან სამს, შეიძლება ჟურნალის მთელ გვერდზე ერთ-სტროფიანი ლექსი დაბეჭდონ, მაგრამ, რაღაცნაირად — გემრიელად. და, საბოლოო ჯამში, სახეზეა საინტერესო კოლაჟი, ესთეტიკების ჭიდილი, ერთგვარი გადაძახილი: თითქოს ერთი მეორეს ეუბნება, აი, ლექსი ასე იწერება, მეორე პასუხობს, არა, ასე კი არა — ასეო, მესამე თავისას ამბობს... ძალიან მომწონს ეს კონცეფცია. ერთია, ლექსსაც ბეჭდავ ერთ ავტორს თხუთმეტი ლექსით და სხვაა, როცა თხუთმეტი ავტორს თითო ლექსით წარმოადგენ, თუმცა ბოლო ხანს მიჭირს გავაგებინო ეს ავტორებს, რომელთაც თავიანთი ათივე ლექსის გამოქვეყნება უნდათ. მათიც მესმის.

— შეიძლება, მკითხველისთვის ასე უფრო უჩვეულო და საინტერესო იყოს.

— ზოგიერთი მკითხველი ურჩევნია, ერთი პოეტი რამდენიმე გვერდზე იკითხოს, ბოლომდე დააგვიმონოს. ხანდახან შეიძლება, ავტორმა ისეთი ლექსები გამოგზავნოს, რომ დამეწანოს იქიდან მხოლოდ ერთის ან ორის გამოჩენვა და დაბეჭდვა. ასეთი მასალა ცვლის ხოლმე მიდგომას და ვებეჭდავ ერთ ავტორს, თავისი რვა ლექსით. დინამიკა ამგვარია, ხან ასე ხდება, ხან — ისე, ეს ბუნებრივია და ჟურნალს უნდება კიდევ, ის ხომ ცოცხალი უნდა იყოს, ერთ ადგილზე არ გაიყინოს.

— ეკა ქვეანიშვილის „მინაურულად

### მოყოლილიც განსხვავებულად ნარმადგენს ახალ წიგნებს.

ეს ფორმა ეკამ თვითონვე მოიფიქრა. რეცენზიების წერა ჩემი საქმე არ არისო. უბრალოდ წავიკითხე და შთაბეჭდილებას ცხელ გულზე დავწერო. მეც, რაღაცნაირად, მივიღე, „შინაურულად მოყოლილი“ დავარქვი. ტექსტის ანალიზი არ არის, არც რევიუა, სადაც წიგნის ბუნებას, შინაარსს მშრალად გადმოსცემს, ეს უფრო ცოცხალი ფორმაა — ავტორი თავის ემოციას ყვება იმ წიგნზე, რომელიც სულ ახალახან ნაიკითხა. გარდა ამისა, ეკა პროფაილების ავტორიცაა. ძალიან ძნელია, თვინიდან თვემდე აკეთო პროფაილი, თან ასეთ მაღალ დონეზე და ასე საინტერესოდ.

**— გამოცდილი რედაქტორი ხართ, გასული საუკუნის 90-იანებიდან მოყოლებული გარკვეული შესვენებით, გამოსცემთ პერიოდიკას. „ალიტერნატივის“ პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა ყველა მიმართულებით. დღეს სხვა მოთხოვნებია, ინტერნეტსივრცეა, კომუნიკაციის მეტი საშუალებაა, პოლიგრაფიული ხარისხი სხვაა, მდიდარი ლიტერატურული პროცესი მიდის. იმის თქმა მინდა, რომ დრომ ბევრი რამ განსაზღვრა ლიტერატურულ პერიოდიკაში. თქვენ როგორ ხედავთ ამ ცვლილებებს, როგორ აფასებთ მას?**

— ძველსა და ახალს შორის განსხვავება რა არის? რედაქტორობა იქცა მექანიკურ სამუშაოდ. გიგზავნიან ტექსტებს, შენ არჩევ, მშრალად წერ „კი“-ს, ან „არა“-ს, ბექდავ, მერე ავტორი მოდის და ბოლო კორექტურას აკეთებს. ან შეიძლება, არც მოდის და არც აკეთებს. რეალურად, ჩემი რედაქცია არის ჩემი სახლი, სადაც მთელი თვის განმავლობაში მომდის მასალა, ვკითხულობ მას და ავტორებს ვპასუხობ, შემდეგ მივდივარ გამომცემლობაში და ვაკაბადონებ, საბოლოო სახეს ვაძლევ უურნალს. არ მინდა, ისე გამოვივიდე, თითქოს იმ ძველი დროის ნოსტალგია მაქვს. ეს არის იმ რედაქციის ნოსტალგია, სადაც მიდიოდნენ ავტორები ხელნაწერებით, მიდიოდნენ ახალგაზრდა ავტორები, ისეთი მფრთხალები, მაგიადასთან რომ ვერ დასვამდი, მერე დაელაპარაკებოდი მათ, გვერდით მიუჯდებოდი, ერთად ჩაასწორებდით რალაცებს. ცოცხალ დიალოგს რეაგირებდაც სწრაფი მოყვებოდა ხოლმე. ასეთი რედაქციები იყო საბჭოთა კავშირშიც, ამერიკაშიც, საფრანგეთშიც — ყველგან. ახლა ტექსტები ინტერნეტში იდებია, მერე ადამიანები შემოდანან, კითხულობენ, თავიანთ კომენტარს დებენ. ესეც დიალოგის ფორმაა თითქოს, ოღონდ სხვანაირი დიალოგის, ქაოტურის. როცა რედაქციაში მიგაქვს ტექსტი, უშუალოდ ესაუბრები რედაქტორს, იმ ხალხს, ვინც უურნალს თუ გაზეთს აკეთებს — მათ თავიანთი კონცეფციები, მიდგომები აქვთ, ახუ ეს ქაოსი, რაღაცნაირად კოსმოსად რომ უნდა აქციონ, მოანესრიგონ. მე მაქვს იმდენი სულიერი ძალა, რომ ავტორს დავუჯდე და ერთი საათი ველაპარაკო, რა მომეწონა, რა არ მომეწონა მის ტექსტში, მაგრამ იმის სულიერი ძალა არ მაქვს, და არც არავის ექნება, რომ მის ტექსტზე კომენტარები კლაკინებულაზე ავკრიფო და ინტერნეტით ავუხსნა ჩემი დამოკიდებულება. ეს ნიშნავს, რომ რეცენზია დავწერო თითოეულ შემოსულ ტექსტზე. ამას ვერ ვახერხებ და მერე მაქვს განცდა, რომ რაღაც დავაკელი, ბო-

ლომდე ვერ ავუხსენი, ვერ გაგაგებინე.

**— ვისაც ის ძველი რედაქციები ახსოვს, ნოსტალგიის განცდა, ალბათ, ყველა მათგანს აქვს.**

— სხვათა შორის, ერთი გიჟური იდეაც კი მაქვს, მეგობრებისთვისაც მითქვამს ამის შესახებ — კარგია, თუ ვინმე დააფინანსებს ამ პროექტს — რომ გაკეთდეს რედაქცია, თუ შეიძლება ითქვას, პერფორმანსის სახით. იქ იდგება მხოლოდ საბეჭდი მანქანები, არავითარი კომპიუტერი, არავითარი პრინტერი... ყველა ავტორი მოვალე იქნება, თავისი ფეხით მივიდეს რედაქციაში, მიიტანოს ხელნაწერი ან საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ტექსტები, რომელიც შემდეგ ძველ დაზგებზე ააწყობენ, ალბათ შემორჩენს ის ადამიანები, ვისაც ლინოტიპზე მუშაობა შეუძლია. რედაქციაში უნდა იყოს ჭადრაკიც, რომელსაც ხანდახან რედაქციის თანამშრომლები ავტორებთან, ან ერთმანეთს შორის ითამაშებენ. ეს იმ ძველი რედაქციის განწყობას შექმნის. ოღონდ მაინც ყველა ევოლუციაა, რომ ეს პერფორმანსია და ისინი არარეალურ სივრცეში არიან. დაე, იყოს ასე, მოვიდნენ და ითამაშონ. და მიუხედავად ამ ყველაფრისა, სრულიად შესაძლებელია, რომ იმ უურნალს თუ გაზეთს სრულიად თანამედროვე სახეც ჰქონდეს, განსხვავებული, მაგრამ თანამედროვე.

**— რით ჰგავს „ახალი საუნჯე“ იმ გამოცემას, ძველად რომ გამოდიოდა „საუნჯის“ სახელით?**

— რა თქმა უნდა, ახალი ძველს არ ჰგავს, არც შინაარსობრივად, არც გარეგნულად. „საუნჯეში“ მხოლოდ თარგმანები იბეჭდებოდა, ეს კი თანამედროვე უურნალია, სადაც, როგორც იცით, არის თარგმანებიც, მაგრამ არა მხოლოდ. ის, რომ ყოველ ნომერში ვცდილობთ, თუნდაც ერთი, თითქმის უცნობი უცხოელი ავტორი შემოვიყვანოთ, ერთგვარად „საუნჯის“ ფუნქციის გაგრძელებაცაა იმ დიდი მიზნისა, რაც უურნალს ჰქონდა. ბევრს ვფიქრობდი უურნალის სახელწოდებაზეც. „საუნჯე“ ისეთი სიტყვაა, აღმატებული, კონსერვატორებს რომ უყვართ, მე კი არანაირად არ მინდა, ეს უურნალი კონსერვატორული იყოს, თუმცა „ახალი“, ალბათ, ამას მაინც ანიტირატებს. სხვანაირადაც შევხედოთ: ის, რასაც ლიტერატურულ საუნჯეს ვეძახით, ყველა ეპოქაში იქმნება, მერე იზიდავს, ინერტობა და, საბოლოოდ, ვხვდებით, რა ნაგავია და რა — საუნჯე. ახმატოვა იმასაც კი ამბობდა, ნეტა იცოდეთ, რა ნაგვიდან იქმნება დიდი პოეზიაო. ჰოდა, ამ შემთხვევაში, ახმატოვას რომ დავუხსნობო, საუნჯესაც, ხშირად, კარგი გაგებით, ნაგავი ქმნის. და თუ თანამედროვე ლიტერატურაზეა ლაპარაკი, მოდი, ინტუიციად გავაკეთოთ აქცენტი. მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში გასართობი ბევრი რამაა. რისკავ, როცა ამა თუ იმ ტექსტს საუნჯეს ვეძახი. ივარგებს კი? დარჩება საუნჯედ? ან თუნდაც კარგი ლიტერატურად? თუ ისეთ ავტორს მიმართავ, რომელიც უკვე გამოკვეთილია — გასაგებია, მაგრამ თუ ახალ ავტორზე აკეთებ სწორებას, მაშინ? (ცდები თუ არ ცდები? პასუხისმგებლობა რედაქციაზეა. ვერ ივარგებს და, ცუდი გაგებით, ნაგავად დარჩება, ივარგებს და, მაშინ გაამართლებს სახელწოდებას. ვნახობ, დრო გამოაჩენს, რა დარჩება „ახალი საუნჯიდან“ — საუნჯე თუ ნაგავი.

### ლევან გელაშვილი

# ნიგნი, რომელსაც ფურცლები აკლია

ბამარჯობა. მე ვარ მიტოვებული პერსონაჟი. ჩვენი, მიტოვებული პერსონაჟები, ხშირად ვიკრიბებით ხოლმე ჩვენი საყვარელ ადგილას. აქ სულ ისეთი ტიპები ვართ, ვინც მწერლებმა ებოზოდისთვის გამოგვიყენეს და მერე მიგვაგდეს. აქ ჩემნაირი ბევრია. აქ სხვა სახელები გვქვია, ჩვენი ნამდვილი ვინაობა რომ არ გამოვლავლდეს, სხვა ფრაზებით ვსაუბრობთ. სინამდვილეში ჩვენი ისეთი თვისებები გვაქვს, რაც ნიგნებში არ არის აღწერილი და არც მკითხველისგან იგულისხმება. ერთი სიტყვით, ნიგნის პერსონაჟთან მხოლოდ ის მაკავშირებს, რომ ამას მხოლოდ მე ვამბობ. საკვირველია, არა?!

იცით?! ძალიან იოლია, რამე წარმოიდგინო. აი, მაგალითად, სიტყვა — ფული, თქვით და წარმოიდგინეთ. რა წარმოგიდგებათ? ფული ისტორიული პერიოდების დროს. ფული მხატვრულ ლიტერატურაში, ფრესკებზე, გამოქვაბულის კედლებზე. კიდევ? ერთ საღამოსაც ვიჯექი და ეგრე ვაკვირდებოდი ყველა სიტყვას, თუ რა ასოციაცია-წარმოდგენები ამომიტყვებოდა. ჰოდა, მივადექი სიტყვას — სამყარო. თქვენი არ ვიცი და, აქ არაფერი წარმომიდგება. ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე, დროის ყველა ხედვით განმოსახავს გადავხატო, ცნობიერების ინფორმაციული სივრცით ტიპის დერეფანი გავიარე და ჩემი წარსულის მრავალშრიანი ფენების იქით ნანომეტრული სიხშირის ზონაში, სპირალური ტურბულენტური მოძრაობით სადაც კუთხეში აღმოვჩნდი, ტვინის ყველაზე ღრმა შრეშიც კი ვერაფერი წარმომიგინებ. სამაგიეროდ, ამ ცნობიერებისგან მიტოვებულ ადგილას ერთი ნიგნი ვიპოვე. ამ ნიგნს დასაწყისი ფურცლები აკლდა და შიგადაშიგ ზოგიერთი ადგილები ამოკლებული იყო. ერთნი ამბობდნენ, ყველა დიდი ნიგნი ასეთია. ეგრე გეპირიელად არაფერი მომწონებია. და, აჰა, თქვენც ნაგავითხებო.

### კაცუნა

იყო ერთი კაცი. არ იფიქროთ, დიდი ვინმე გახლდათ, ჩვეულებრივი კაცი იყო. შორს მიმავალ ადამიანებს თვალეში უყურებდა და ახლოს მოსაუბრეს სახეს არიდებდა ხოლმე.

ერთხელ ამ კაცს მოეჩვენა, რომ ყველაფერი ჰქონდა. ერთი წამით წარმოიდგინე, რომ მას ეკუთვნოდა პლანეტები, გალაქტიკები, ასტრალები, მზის სისტემები. რაც წარმოიდგინა და რაც ვერ წარმოიდგინა, ისიც თავისი ეგონა. რა წამშიც ეს გაიფიქრა, პლანეტა დაეკარგა. პლანეტა როგორ უნდა დაეკარგოს ადამიანს, ერთი ეგ ამისხენით და ხმას არ ამოვიღებ, მაგრამ ამას დაეკარგა. მერე ჩამოჯდა მთვარეზე და შეეცადა, გაეხსენებინა. ბევრი ეძებდა და რომ ვერ იპოვა დედამინის მინამცვანება, რაღაც პლანეტა მოხახა და იქ დასახლდა, მაგრამ ეგრე მოგონებების მეძველმანე ხომ არ იქნებოდა. დაიწყო ახალი რალაცების მოფიქრება. ჩვეულებრივი კაცი კი იყო, მაგრამ სულ არაჩვეულებრივი იდებოდა მისდობოდა თავში. ადგა და მოწყვნილობისგან თავის დასაღწევად თიხისგან თევზი გამოძერწა. წყალში ჩასვა და ხელი წაკრა, მაგრამ თევზი არ განძრულა. წყალში გახელილი თვალებით უსიცოცხლოდ იყურებოდა. მერე ადგა და დათვი გამოძერწა. დასვა მინაზე და მასაც წაკრა ხელი, მაგრამ არც დათვი ამოდრავდა. ჩვეულებრივმა კაცმა იფიქრა, იფიქრა და ახლა ჩიტი გამოძერწა. ლამაზი კი გამოუვიდა, მაგრამ ხელი რომ წაკრა, ისიც უძრავად იჯდა მინაზე. არ მოუშვა კაცი რამდენჯერმე წაკრა თითი, ჰაერშიც ააგდო, მაგრამ ჩიტი არ გაფრინდა. დაღონდა ჩვეულებრივი კაცი, ერთი-ორჯერ კიდევ სცადა ცხოველთა სხვადასხვა სახეობის გამოძერწვა, მაგრამ უშედეგოდ, არცერთი არ გაცოცხლებულა. ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, ადგა და კაცუნა გამოძერწა. ეს არც ისე იოლი იყო. დიდხანს ზილა თიხა, თავის ჭკუზე რომ მოარჯულა და დამყოლი ცომი გახახა, კაცუნა გამოძერწა. ძეგრის დროს ორივე ხელი შიგნით ცომში ჩავსვა. კაცუნა კი გამოძერწა, მაგრამ ხელი აღარ ჰქონდა, რომ წაკრა და გაეცოცხლებინა. სიჩუმე სუფევდა. იდგა კაცუნა მინაზე თევზის, დათვის, ჩიტის და

ცხოველთა სხვა წარმომადგენლების გვერდით. უყურებდა კაცი და ფიქრობდა, ნეტა ხელები მქონდეს, რომ წავკრა თითიო. რა წამსაც ეს გაიფიქრა, სიჩუმე რალაცა ხმამ დაარღვია და დაინახა, რომ კაცუნა ამოდრავდა. გაცოცხლებული არსება ჩვეულებრივი კაცის გარშემო დადიოდა. ზოგ რამეს აშენებდა, ზოგს ანგრევდა, ზოგი გადააკეთა და ზოგი ახლიდან შექმნა. იმდენად სწრაფად და გონივრულად მოქმედებდა, რომ ჩვეულებრივი კაცი ხელის შეშლას ვერ ბედავდა და აღფრთოვანებით აკვირდებოდა. კაცუნა კი ისე იყო მუშაობაში გაერთოლი, რომ მას საერთოდ ვერ ხედავდა. გარემოს აღქმით და მისი გადააკეთებით ტკბებოდა. ბოლოს არსებული გადამქმნელი კაცუნა ჩვეულებრივი კაცისკენ შემოტრიალდა. ეს რომ ჩვეულებრივმა კაცმა დაინახა, იმ წამსვე დაკარგული პლანეტა გაახსენდა. მოაგონდა, სადაც იყო. მაშინვე რომ წასულიყო, ხელად მიაგნებდა კიდევ. იქ დაბრუნება მოუწინა, მაგრამ მოეჩვენა, რომ უკვე გვიანი იყო.

ჩემო მკითხველო, „ყბად ასალები და წყალნასალები ამბების“ მოყოლას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ ნიგნს ფურცლები აკლია და მერე პირდაპირ გრძელდება კაცუნების ცხოვრების შესახებ. კაცუნებს ვამბობ, თორემ გონიერი, დიდი და ძლიერი არსებები არიან.

### კაცუნების პლანეტა


კაცუნების პლანეტა დიდად საინტერესო რამე იყო. მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი საინტერესო. თავდაპირველად კაცუნები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ, შემდეგ ქვის, ლითონის და რკინის დამუშავება ისწავლეს და მდიდრული საცხოვრისები აიშენეს. კაცუნები იყვნენ კეთილები და ბოროტები. მატყუარები და მართლები. ნიგნის მწერლები და ნიგნის კოცონზე დამწველები. ბევრი სიკეთე შექმნეს კაცუნებმა თავიანთ პლანეტაზე. პლანეტის რესურსების გამოყენებით შეედლოთ სანავისი და შიდა წვის ძრავების მოგონება, ასევე — ინფორმაციის შორს მანძილზე გადაცემა.

ამათ შორის ცხოვრობდა ერთი ბიჭი, რომელსაც უყვარდა ერთი გოგო. რალად დაგიმალეთ და, ბიჭს ამ გოგოს გარდა კიდევ ბევრი რამე უყვარდა. აი, მაგალითად, ჩანჩქერის ყურება, ცისარტყელის ფოტოების გადაღება, მირაჟზე დაკვირვება, კედელზე აცოცება, ბენზინის სუნის, ნიგნის კითხვა და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამე უყვარდა ამ ბიჭს. ნიგნის კითხვა გოგოსაც უყვარდა. როდესაც რაიმე საინტერესოს ნაიკითხავდა, ბიჭს უგზავნიდა წასაკითხად. ისიც ნაიკითხავდა და ნიგნს უკან უბრუნებდა. ამ არც ისე გამორჩეული ტრადიციის აღნიშვნა, ალბათ, არც გახდებოდა საჭირო, რომ არა ერთი უცნაურობაც: ყოველთვის, როდესაც ბიჭი ნიგნს უკან უბრუნებდა გოგოს, ნიგნში იდო ფურცელი ტექსტით: „დანერე რასაც ამ თვით ფურცელზე ხედავ, შემდეგ ამ ქალადისგან თვითმფრინავი გააკეთე და შენი სახლის ფანჯრიდან გაუშვი“. გოგო სწორედ ასე იქცეოდა ხოლმე. დანერდა ფურცელზე თავის შთაბეჭდილებებს და უშეკბადა ფანჯრიდან. ესე ნელნელა გაივსო ქალაქი თვითმფრინავებით. დიდებული სახანავი იყო კაცუნების პლანეტაზე ქალადის თვითმფრინავების ქალაქი. მფრინავი ტექსტები ქუჩებში ძველებს, გაჩერებებს და ნიგნის მალაზიებს ჩაუფრენდნენ ხოლმე. ცილიდრიან კაცებსაც ჩაუჭროლებდნენ და სადმე მყუდრო, უჩუქარადელას გაჩერდებოდნენ. გაყურებულ ტექსტები ქარის ამოვარდნასთან ერთად ახლიდან იწყებდნენ ფრენას. კაცუნებს ფრენა არ შეეძლოთ, ამიტომ უხაროდათ ტექსტების გაფრენა. ტექსტების, რომლებიც ასახავდნენ ყველა იმ ემოციას და შთაბეჭდილებას, რაც გოგოს გააჩნდა სულში და გულში. ასე წყნარად და უხმაუროდ გადიოდა დღეები მფრინავი ტექსტების ქალაქში...

ჩემო მკითხველო, ნიგნს ისევე ფურცლები აკლია და შემდეგ ასე გრძელდება ამბავი: გავიდა ათასწლეულები. კაცუნების

დასასრული მე-16 გვერდზე

### ესაუბრა თამარ ჟურული



ნაწილი უილიამ ჯორჯი

### თემურ გახეობა კრიტიკის უკანასკნელი ტალღა

ჩვენ კი არ ვკითხულობთ სელინჯერს, სელინჯერი გვკითხულობს ჩვენ. მერი მაკკარტი

„ჰაპოლოტი, 16, 1924“ უკანასკნელი ნაწარმოებია იყო, რომელიც სელინჯერის სიცოცხლეში გამოქვეყნდა. 1965 წელს უფროსი ნიუ იორკში დაბეჭდილი თხზულება ლიტერატორებმა უარყოფითად შეაფასეს. ამჯერად სელინჯერს აკრიტიკებდნენ თვით მისდამი ყველაზე კეთილგანწყობილი მწერლები და ლიტერატორები. 1997 წელს დაიწყო სხვა „ჰაპოლოტის“ წიგნად გამოცემის შესახებ, თუმცა მას შემდეგ რაც ინფორმაციამ პრესაში გაჟონა და სელინჯერი კვლავ გააკრიტიკეს, საქმე ჩაიშალა. რა იყო ასეთი დაუსრულებელი კრიტიკის მიზეზი? ნუთუ, ამერიკის ლიტერატურულ სამყაროს არ აინტერესებდა, რა შექმნა სელინჯერმა 1965-1997 წლებში? დავუშვავთ, ერთი ნაწარმოები მართლაც სუსტი გამოვიდა, ღირდა კი მისი გაკრიტიკება 32 წლის შემდეგაც, ამ პერიოდში შექმნილი სხვა ნაწარმოებების მკითხველისთვის თუნდაც დროებით „დაკარგვის“ ფასად? ამ კითხვებს რომ ვუპასუხოთ, ალბათ, უკეთესი იქნება, გავიხსენოთ „ჰაპოლოტი 16, 1924“ და ის პროცესები, XX საუკუნის 70-იან წლებში რომ დაიწყო ამერიკისა და ევროპაში, იქნებ სწორედ მათ შორი ჩამარხული სელინჯერის განდგომილების საიდუმლოს გასაღებიც?

აღმოსავლური რელიგიებით გატაცებულ და კორნიში განმარტობით ცხოვრებამ სელინჯერის ლიტერატურული სტილიც შეცვალა. მის ბოლოდროინდელ ნაწარმოებებში იყო დიალოგებმა, ცოცხალ სამეცხველო ენასთან მიხატულობის თხრობა უფრო დუნე ფილოსოფიურ-რელიგიური ტრაქტატებისთვის დამახასიათებელი თხრობით შეიცვალა. ბუნებრივია, ამან კრიტიკოსთა გამოცოცხლება გამოიწვია. მწერალს უკვე აკრიტიკებდნენ თვით მისი შემოქმედების თავისთავადობის მხარეშიც კი, მაგალითად, პულიცერის პრემიის ორგანიზაციის მფლობელი აპლაკი, რომელიც სელინჯერს თავის მასწავლებლად მიიჩნევდა, მას ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: „სელინჯერის მოთხრობებმა თავალი ამიხილეს და დამანახეს, თუ როგორ შეიძლება, შეკრა თხრობის ქსოვილი ერთი შეხედვით ერთმანეთისგან სრულიად დაუკავშირებელი სხვადასხვა მოვლენისგან, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ, ან ძალიან მცირე რამ აკავშირებთ... სწორედ სელინჯერის კითხვისას გახდნენ ჩემი გონების საქსოვი ჩხირები ვარგისი იმისთვის, რომ ნაბიჯი წინ გადამედეგა და სათანადოდ მომექსოვა ჩემი პროზის ქსოვილი“. და აი, ახლა „ჰაპოლოტი“ ავტორს თვით მისით ესოდენ მოხიბული აპლაკიც კი აკრიტიკებდა. რა იყო ამის მიზეზი? ნუთუ, 1965 წელს გამოქვეყნებული თხზულება მართლაც ასეთი საშინელი იყო? მწერლის ბოლოდროინდელი ნაწარმოებები არც იან ჰამილტონის მოსწონდა, მისი აზრით, სელინჯერის თხრობა გახდა დუნე, მისი მოთხრობები კი გრძელი, უსიუყეტო, გადატვირთული ფრჩხილებში ჩასმული ფრაზებითა და ძირ-

ითადი თემიდან გადახვევებით. რა შეიძლება ითქვას იან ჰამილტონის კრიტიკულ მოსაზრებებთან დაკავშირებით? „ჰაპოლოტი“ სტილი, შესაძლოა, მართლაც დუნეა, მისი მხატვრული ღირებულება კი მწერლის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით დაბალი, მაგრამ ეს თხზულება მკვლევებისთვის გამორჩეულად საინტერესო უნდა იყოს, რადგან მასში არის ის ძვირფასი ინფორმაცია, რომელიც სელინჯერის შემოქმედების ერთგვარ გასაღებადაც კი წარმოადგენს. კარგად რომ გავიგოთ, რაზეა საუბარი, გავიხსენოთ თხზულება.

„ჰაპოლოტი 16, 1924“ ეპისტოლარულ ჟანრს განეკუთვნება. მთელი ნაწარმოები, ფაქტობრივად, სიმორის წერილია, რომელიც მშობლებს 1924 წელს საბავშვო ბანაკიდან გაუგზავნა. წერილში შეიდი წლის ბავშვი მშობლებს ამცნობს, რომ ოცდაათს გადაცილებული გარდაიცვლება, ასევე წინასწარმეტყველებს, რომ მისი ძმა ბადი ცნობილი მწერალი გახდება. სიმორი მშობლებს თხოვს, ასიოდე წლის წინანდელი ინგლისური ჟურნალ-გაზეთები გამოუგზავნონ, სერ უილიამ როუზენ ჰამილტონის შესახებ დანერგოს სტატიები რომ ნაიკითხოთ. ვინ იყო სერ უილიამი? რუსი მკვლევარი გალინსკაია ამომწურავ ინფორმაციას გვანდის მის შესახებ: „ჰამილტონი ისტორიული პიროვნება იყო, შესანიშნავი მათემატიკოსი, დუბლინის უნივერსიტეტის ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი და ირლანდიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1805-1865 წლებში. სერ უილიამი შოტლანდიური-ირლანდიური წარმოშობის იყო. ის აღსაზრდელად მიაბარეს ბიძამისს, ერთობ განათლებულ მღვდელს. უილიამმა კითხვა ძალიან ადრე დაიწყო. ოთხი წლისა უკვე მხატვრულ ლიტერატურას კითხულობდა, ზეპირად იცოდა ნაწყვეტები ჰომეროსის, მილტონისა და დრაიდენის პოეზიიდან, ასევე ბიბლიური ტექსტებიც. შეიდი წლისამ შეისწავლა ლათინური (იმდენად კარგად, რომ თავისუფლად საუბრობდა ამა თუ იმ თემაზე). ასევე იცოდა ძველი ბერძნული და ებრაული. რვა წლის ასაკში ოთხ ევროპულ ენას ფლობდა, თორმეტი წლისამ კი შეისწავლა სანსკრიტი, ჰინდი, სპარსული, არაბული და მალაიზიური ენები. მათემატიკის ნიჭი უილიამს თორმეტი წლისას აღმოაჩნდა, ნიუტონის კითხვისას, როცა უნებლიედ დიდი მეცნიერის ნაშრომში რაღაც შეცდომა იპოვა.

ცნობილი მათემატიკოსი სერ უილიამ ჰამილტონი სიცოცხლის ბოლომდე ცხოველ ინტერესს იჩენდა ჰუმანიტარული მეცნიერებებისადმი, წერდა ლექსებს, მეგობრობდა პოეტებთან — უორსვორთთან და კოლრიჯთან, იყო საოცრად რელიგიური. ჰამილტონის ბიოგრაფიები აღნიშნავენ, რომ ის ფიზიკურადაც ნორმალურად ვითარდებოდა, აქტიურად იყო დაკავებული სპორტით“.

რატიომ მოვიყვანეთ ეს ვრცელი ციტა-



სერ უილიამ ჰამილტონი

ტა სერ უილიამის შესახებ გალინსკაიას ნაშრომიდან? ალბათ, იმის გამო, რომ ეს ისტორიული პიროვნება სელინჯერისთვის ერთგვარ შთაბეჭებით წყაროს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, მწერალმა საგაგლასებზე — ნიჭიერ ბავშვებზე, წლების განმავლობაში პოპულარული რადიოგადაცემის ცნობადი სახეები რომ იყვნენ, სწორედ უილიამის, ამ ვუნდერკინდის მოდელზე ააგო. მეტიც, „ჰაპოლოტიდან“ ირკვევა, თუ რატომ ითხოვს შეიდი წლის სიმორი 100 წლის წინანდელი ინგლისური ჟურნალ-გაზეთების გამოგზავნას, ის მიიჩნევს, რომ წინა ცხოვრებაში იყო ადამიანი, რომელსაც სერ უილიამთან ჰქონდა მიმოწერა. თვით სიმორიც თავის ასაკთან შედარებით უჩვეულადაა მოხატულობის ბავშვია, შეიდი წლისა კითხულობს: ტოლსტოის, თექერეის, დიკენსის, ოსტინის, ჰიუგოს, ბალზაკს, მოპასანს, ფრანსის, პრუსტს, ასევე ბიბლიას, რელიგიურ ტრაქტატებსა და ჩინელი ფილოსოფოსების თხზულებებს. ამრიგად, სიმორი და სერ უილიამი, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ეპოქაში ცხოვრობდნენ, მონათესავე სულები არიან. „ჰაპოლოტი“ მწერლის „შიდა ლაბორატორიის“ ერთგვარი გასაღებიცაა, მისი ნაკითხვის შემდეგ უკვე ვხვდებით, რა კავშირითაა სელინჯერის ორ მოთხრობას — „ბანანათქეობაში ამინდს“ და „ტედის“ შორის, რომლებიც „ჰაპოლოტი“ ნაუკითხავად ორ ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ ნაწარმოებადაც კი შეიძლება, მიგვიჩინოს. აი, როგორ გვანახ ამ მოთხრობების გიმორი ერთმანეთს: 1) სიმორი გლასგოც ასსოვს თავისი წინა ინკარნაცია და ტედისაც; 2) ერთიც წინასწარმეტყველებს თავის სიკვდილს და მეორეც; 3) სიმორიც თავს იკლავს და, გარკვეული თვალსაზრისით, ტედიც, რადგან იცის, როდის და როგორ უნდა მოკვდეს და არაფერს აკეთებს მოვლენათა შესაჩერებლად...

ამრიგად, „ჰაპოლოტი 16, 1924“ მხატვრული თვალსაზრისით, სელინჯერის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით, შესაძლოა, დაბალი დონისაა კი იყოს, თუმცა ყურადღებას მაინც იმსახურებს, რადგან უნიკალურ ინფორმაციას გვანდის იმ ძვრებზე, სელინჯერის ცნობიერებაში რომ ხდებოდა მისი აღმოსავლური რელიგიებით გატაცების პერიოდში. რა თქმა უნდა, ლიტერატორებს სრული უფლება აქვთ, ნებისმიერი მწერალი გააკრიტიკონ, ზოგადად, კრიტიკაც ხომ სწორედ ამიტომ არსებობს, მაგრამ როცა სელინჯერის მსგავს შემოქმედს ორჯერ აკრიტიკებენ ერთიდაიმავე თხზულების გამო, თანაც 32 წლის შუალედით, ეს ცოტა არ იყოს, არაბუნებრივია. იქნებ, ამ განმეორებით კრიტიკასა და აჟიოტაჟს სრულიად სხვა საფუძველი ჰქონდა?

### II ლეიტარის აღსარება

როგორ ლეიტერი იყო ის ერთადერთი ილბლიანი გამომცემელი, რომელსაც

წილად ხვდა პატივი, პირადი ურთიერთობა დაემყარებინა კორნიში განმარტობებულ მწერალ-განდევითან. მან 1997 წელს, როგორც იქნა, დაითანხმა 77 წლის მწერალი, წიგნად გამოეცა „ჰაპოლოტი 16, 1924.“ როგორ ლეიტერი ვირჯინიის შტატში, ალექსანდრიაში, პატარა საგამომცემლო სახლის — ორქიზის პრესის მფლობელი გახლდათ. ის სელინჯერის თავისთავადობის ცემელი იყო და საგანგებოდ შენახულიც კი ჰქონდა 1965 წლის 19 ივნისის „ნიუ იორკერის“ გზემუშლარი, სადაც თავის დროზე „ჰაპოლოტი“ გამოქვეყნდა. გამომცემელი სელინჯერის დაყოფისა და თითქმის 8 წელი მოანდომა და აი, 1996 წელს მისი წარმომადგენლისგან, ქალბატონ ფილის ვესტბერგისგან, წერილიც მიიღო, სადაც ნათქვამი იყო, რომ მწერალი მალე დაუკავშირდებოდა. სელინჯერმა მართლაც დარეკა. ის „ჰაპოლოტის“, როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი წინამორბედის, გამოცემას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და შეხვედრას ითხოვდა. ისინი ერთმანეთს ვაშინგტონში უნდა შეხვედროდნენ ეროვნულ გალერეაში დათქმულ ლანჩზე. ლეიტერი, ცოტა არ იყოს, ლეღავდა, თუმცა ყველაფერმა მშვენიერად ჩაიარა. სელინჯერი 77 წლის პირობაზე მხნედ გამოიყურებოდა, შევერცხილი თმა უხდებოდა კიდევ. ის კავტერიის შუაში მაგიდასთან იჯდა თავისი ძველი მოძვრო ხელის ჩემოდნითა და ქალღღებით, ყელზე კი ლურჯი კაშნი ეკეთა. სელინჯერი ითხოვდა, მისთვის ფერით მიემართათ და თავის ბიოგრაფიის, იან ჰამილტონზე, წუნუნება, ადვოკატების დასაქირავებლად ფული რომ დაახარჯინა. მალე საქმეზეც გადავიდნენ, ლეიტერის სურდა გაერკვია, როგორ უნდა ყოფილიყო წიგნის ყდა. დაიჩვენა კიდევ, დისტრიბუციონში ჯერჯერობით დიდ მამატებზე ვერ ვეჭიდებო. „არც გამიხარდებოდა, ჩემი წიგნი დარტყმულ ბუქსტონში რომ მეხილა“, — უპასუხა სელინჯერმა. ლეიტერის კი უკვირდა, რადგან პირველად ხედავდა მწერალს, რომელიც ითხოვდა, მისი თხზულება წიგნის ცნობილი მალაზიაში არ შეეტანათ. შემდეგ ლეიტერმა სელინჯერს გამოცემის თარიღის დაზუსტება თხოვა.


— 1 იანვარი, 1997 წელი, — თქვა მან.

— ეს ჩემი დაბადების დღეა, — უპასუხა მწერალმა.


ლეიტერი იცოდა, სწორედ ამიტომ სურდა წიგნის გამოსვლა მისი დაბადების დღისთვის დაემთხვია. გამომცემელი ფიქრში გაერთო, ის ახლა კავტერიის წინ გაკეთებულ პატარა ხელოვნურ ჩანჩქერს უყურებდა. წყალი თქრიალით გადმოდიოდა ქვის საფეხურებზე. უცებ სელინჯერი შემფოტდა.

— რას უყურებ? არ დაფიქრდე ისე მიპასუხე! — თქვა მან და ლეიტერიც მიხვდა, რომ მწერალს პაპარაცების შეშინებოდა. იქნებ, ვინმე სურათს უღებდა, რომ მერე სოლიდურ თანხად გაეყიდა? თუმცა დაძაბულობა მალე მოიხსნა, სელინჯერს შიში გაუქრა და მოგვიანებით წიგნის ღირებულებაზეც შეთანხმდნენ. ლეიტერის აზრით, \$15.95 მისაღები ფასი იქნებოდა.

თუმცა წიგნი არც თხუთმეტი დოლარად გაყიდულა და არც — ოცდაათად, ვერც გაიყიდებოდა, რადგან არც კი გამოცემულა. ლეიტერი სინანულით აღნიშნავს, რომ შეცდა, როცა კონგრესის ბიბლიოთეკას ინფორმაცია მიანოდა გამოცემის თარიღის შესახებ. ინფორმაცია უკვე საჯარო იყო, ამიტომ ჯერ amazon.com-ის გამოსაქვეყნებელი წიგნების ნუსხაში მოხვდა, შემდეგ კი — პრესაშიც. და აი, პირველი რეპორტიორიც გამოჩნდა. ის ლეიტერის უამრავ კითხვას უსვამდა: როგორ დაითანხმა მწერალი გამომცემალზე; რა ტირაჟით უნდა გამოხულიყო წიგნი და სხვა. ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილის ექვსი მალე ვაშინგტონ პოსტამდეც მიღწია. უკვე ცნობილი ჟურნალისტი და მწერლები ურეკავდნენ. ყველას აინტერესებდა, როგორ დაითანხმა პატარა გამომცემლობის მეპატრონემ სელინჯერი „ჰაპოლოტის“ გამომცემალზე. ლეიტერის ტელეფონი არ ჩერდებოდა. ურეკავდნენ სხვადასხვა რედაქციიდან, ტელევიზიიდან, უცნობები და ნაცნობები, დისტრიბუტორები და უცხოელი გამომცემლები, კინოინდუსტრიის მუშაკები. საიდან აღარ რეკავდნენ — სამხრეთ აფრიკიდან, კატალონიიდან, ავსტრალიიდან... არც ფაქისი მანქანა ჩერდებოდა.



ჯონ აპლაკი



**JEROME DAVID SALINGER**  
**CORPORAL** "B" COMPANY  
 January 1, 1919 New York, N. Y.

Activities  
 Private, '34; Intramural Athletics; Mask and Spur, '34, '35; Glee Club, '34, '35; Plebe Detail, '35; Aviation Club; French Club; Non-Commissioned Officers' Club; Literary Editor, 1936 **CROSSED SABRES.**

დისტრიბუტორები ჯერ კიდევ გამოუცემელი ნიგნის ეგზემპლარებს ითხოვდნენ და ეს ხდებოდა 32 წლის სიჩუმის შემდეგ, თანაც „ჰაპუორითან“ დაკავშირებით. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, მწერალს თავის გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები რომ გადაეცა ლეტორისთვის! ნიგნის ფასი იწევდა, მაღალი უკვე 22.95 დოლარსაც კი სთავაზობდნენ. თუმცა გამომცემელს გული ცუდს უგრძობდა, რადგან ყველა ურეკავდა სელინჯერის გარდა. და აი, ეჭვებიც გამართლდა, ვინმე კაკუტანის 1997 წლის 20 თებერვალს მკვეთრად უარყოფითი რევიუ გამოაქვეყნა ნიუ იორკერში „ჰაპუორითან“ შესახებ, რამაც მწერლის მოთმინების ფილაც აავსო. ასე სასტიკად ითავის დროზე თვით მერი მაკკართისაც კი არ გაუკრიტიკებია, სელინჯერი 32 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ გახდა უკონტაქტო, ნიგნის გამოცემა გაურკვეველი ვადით გადაიდო, დაიკარგა იმედიც, მწერალს სიცოცხლეშივე გამოეცა თავისი გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები. ბუნებრივია, ისმის კითხვა, ვინ იყო კაკუტანი და რა მიზნები ამოძრავებდათ მას და მის მსგავს კრიტიკოსებს? ან ხომ არ იყო მსგავსი კრიტიკა მიზანმიმართული?

„როგორ ვულალატე სელინჯერს“ — მოგვიანებით ასეთი სათაურის წერილის გამოქვეყნებით გამოხატავს როგორც ლეტორის თავის სინანულს მომხდარისადმი, დაიხ, სელინჯერს მართლაც უღალატეს, თანაც არა მხოლოდ მან, არამედ ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფმაც, რომელსაც მიაჩნდა, რომ სელინჯერისა და მისი მსგავსი მწერლების დრო უკვე გასული იყო...

### III ახალი დროება

გავა დრო და ისტორიკოსები, ალბათ, სალად შეაფასებენ XX საუკუნის 70-იან წლებში ევროპასა და ამერიკაში დანებებულ ბრძოლას სექსუალური უმცირესობის უფლებებისთვის. დაინერგა ტომებიც, გადაიღებენ დოკუმენტურ ფილმებსაც, რომლებშიც გაანალიზებული იქნება, სულ რაღაც 20-30 წელში ნახტომისებურად როგორ შეიცვალა მსოფლიო, როგორ განაცხადა კაცობრიობის ნაწილმა უარი იმაზე, რასაც საუკუნეების მანძილზე შეუვალ ჭეშმარიტებად მიიჩნევდნენ, თუმცა ამ წერილში ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს აღწერა გეილარების და მათი „გმირები“, ამჯერად, უბრალოდ, გვინდა, სელინჯერის განდგომილების მიზეზებზე ვისაუბროთ, რომელიც 1965 წლის შემდეგ გახდა უკონტაქტო, სწორედ მაშინ, როდესაც ლგბტ თემები თავიანთი უფლებებისთვის ბრძოლას იწყებდნენ, ამერიკასა და ევროპულ ქვეყნებში კი ერთმანეთის მიყოლებით უქმდებოდა ჰომოსექსუალიზმის სისხლის სამართლის დანაშაულებად მიმჩნევი საკანონმდებლო ნორმები. ბუნებრივია, ისმის კითხვა, ხომ არ ჰქონდა ამ ორ მოვლენას (ლგბტ მოძრაობის დასაწყისსა და სელინჯერის საბოლოო გაუცხოებას) ერთმანეთთან რაიმე, თუნდაც შორეული და არაპირდაპირი, კავშირი? გავიხსენოთ ჰოლდენ კოლფილდის მონოლოგი რომანში „თამაში ჭვავის ყანაში“:


„...ლიუსი, ლიუსი! ჰოი, რა ტიპი იყო! ...სულ სექსუალურ ამბებზე ლაყბობდა, როცა გვინა ღამით ბიჭები შეგროვდებოდ-

ნენ მის ოთახში. ამისთანა რამეები ხუთი თითქმის იცოდა — განსაკუთრებით გაფუჭებული ხალხის ასავალ-დასავალი. მოყვებოდა ხოლმე ათასნაირი გათახსირებული ვაჟბატონების ამბავს — ვინ ცხვარს დასდევსო, ვინ კიდევ ქუდის სარჩულად გოგოს ტრუსებს იკეთებდა. ათასი სირისტიანისა და ლესბიანელის თავგადასავალს. რაც ამერიკაში გაფუჭებული ხალხია, სულ ზეპირად იცოდა... ზოგჯერ ძნელი დასაჯერებელიც ხდებოდა, იმისთანა ხალხზე იტყვოდა, გაფუჭებულიაო. რამდენჯერაც არ უნდა ჩაკვიტოხდი: „ნუთუ, ჯოუ ბლოუც გაფუჭებულია? ჯოუ ბლოუ, კაცო?! ამისთანა მოსული და ჩაფსკვნილი ბიჭი, სულ განგსტერებსა და კოვრებს თამაშობს!“ პასუხი ერთი იყო: „მაშ არადა!“ ...მიდრეკილება თუ გაქვს, ერთ ღამეში შეიძლება, შენ თვითონვე მაგნაირი გახდები. დაგაფეთებდა ხოლმე — ელეთმელეთი მოგვდიოდა. სულ შიშში ვიყავი, უცებ მეც არ გაფუჭდებოდა“.

ჰოლდენ კოლფილდს არა მხოლოდ ეშინია ამ „გაფუჭებული ხალხის“, არამედ ეზიზღება კიდევ ისინი. აი, რას ამბობს ანტოლონიის სახლიდან გამოსვლისას, რომელიც მოულოდნელად მძინარეს თავზე წამოაგდო და თმაზე ხელი გადაუსვა.

„როცა ამნაირი უხამსობა შემემთხვევა, სულ ოფლს დამასხამს ხოლმე. ერთი ოცჯერ მაინც შემემთხვევია ამისთანა საზიზღარი საქმე ბავშვობის შემდეგ. საშინელებაა.“

50-იან წლებში, როცა რომანი „თამაში ჭვავის ყანაში“ გამოქვეყნდა, მსგავსი გამონათქვამები ამერიკულ და ევროპულ საზოგადოებას ყურს არ ჭრიდა, დღეს კი ასეთი „ჰომოფობიური“ მონოლოგების შემცველ ნაწარმოებს არც გამოაქვეყნებდნენ, ან მწერალს აიძულებდნენ, ამოელო სექსუალური უმცირესობების შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, თან საჯაროდ ბოლომდე მოეხადებინათ. ბუნებრივია, იმ „გაფუჭებულ ხალხს“, ვისი მომრავლებაც ჰოლდენ კოლფილდს აშინებს, მწერლის ბოლოდროინდელი ნაწარმოებები არ მოეწონებოდა („ფრენი და ზუი“, „ჰაპუორთი 19, 1924“), რომელთა პერსონაჟებიც ცდილობდნენ, ქრისტიანობისა და ინდუიზმის არსს ჩასწვდომოდნენ. ქრისტიანული რელიგია მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევა და მამათავლობასა და ლესბიანელობას,




ჯონ ლენონი

ხოლო ინდუიზმი ჰომოსექსუალური მიდრეკილებების გაჩენას წინა ცხოვრებაში შექმნილი ცუდი კარმით ხსნიდნენ. ისმის კითხვა, სჭირდებოდათ კი სექსუალური რევოლუციების ეპოქაში დაფრთხილებულ ლიტერატორებს ღრმად რელიგიური თხზულებები? ან ამოიღებდა კი ახლად გამოჩეკილი „ცენზორების“ კარნახით თუნდაც ერთ სიტყვას თავისი ნაწარმოებებიდან მწერალი, რომელიც არათუ სიტყვების, სასწვნი ნიშნების გადაკეთებაზეც კი ერთ ამბავს ტეხდა? ან მოიხდიდა ბოდიშს სელინჯერი სხვა ცნობადი სახეებით „ჰომოფობიური“ განცხადებების გამო? (ცხადია, მწერალი არანაირ კომპრომისზე არ წავიდოდა მათთან, ვისაც გაფუჭებულებსა და თვალთმაქცებს უწოდებდა, მას ერჩია, თავისი პერსონაჟის, ჰოლდენ კოლფილდის, ოცნებისთვის შეესხა ფრთები და სადმე, დიდი ქალაქიდან შორს, ტყისპირა სახლში ეპოვა თავშესაფარი, ან ფრენი გლასის მსგავსად ეცადა, რელიგიურ გზას შესდგომოდა, რათა გამხდარიყო „აბსოლუტურად არავინ“ — ამ სიტყვის მისტიკური მნიშვნელობით...

### IV უცნაური დამთხვევა


1980 წლის 8 დეკემბერს ლენონის მკვლელის მარკ დევიდ ჩეპმენის დასაპატიმრებლად მისულ პოლიციელს დამნაშავე, რომელმაც რამდენჯერმე ესროლა ცნობილ მომღერალს, ტროტუარზე ჩამოგვდარი დახვდა. მას ხელში სელინჯერის რომანი „თამაში ჭვავის ყანაში“ ეჭირა და კითხულობდა. მოგვიანებით, როცა სასამართლომ საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მისცა, ჩეპმენმა ვრცელი ციტატა მოიყვანა რომანის იმ ეპიზოდიდან, რომელშიც ჰოლდენი უფსკრულის თავზე მოთამაშე ბავშვების გადარჩენაზე საუბრობს. რას მიგვანიშნებდა ამით ლენონის მკვლელი? ნუთუ, თავისი ქმედებით ვინმეს გადაარჩენდა? ან იქნებ სელინჯერმა უბიძგა, მსგავსი სისასტიკე ჩაედინა? მართალია, რომანში საუბარი იყო თვალთმაქც ადამიანებზე, მათ შორის მუსიკოსებზეც, მაგრამ სად, რომელ აბზაცში ამოიკითხა, ვინც არ მოგწონებოდა, დახოცო?! მისი ქმედების რომელიმე რელიგიით გამ-



მარკ დევიდ ჩეპმენი

ართლებაც, მით უმეტეს ქრისტიანობით, სრული უაზრობა იყო. დიხ, ჩეპმენს ალიზიანებად ლენონის ზოგიერთი გამონათქვამი, მაგალითად: „ჩვენ, ქრისტეზე პოპულარები ვართ“, „არც ღმერთის მნამს, არც ბიბლიის და არც ბითლზის“ მაგრამ ეს არ აძლევდა უფლებას, ხელში იარაღი აეღო. ბუნებრივია, დაისვა კითხვა, ვინ იყო ჩეპმენი, შეურაცხადი? თვითონ მკვლელი კატეგორიულად უარყოფდა ამას, პირიქით, სამუდამო პატიმრობაზეც კი თანახმა იყო, ოღონდ გიჟის იარაღი არ მიეწებებინათ. მას ღრმად წამდა, რომ მის ქმედებებში ღვთის ხელი ერია, რომ სახიფათო ადამიანი მოაშორა საზოგადოებას, მაგრამ რა კავშირი ჰქონდა ამ მოვლენას სელინჯერთან? ან თუნდაც კიდევ ერთ მკვლელს — რობერტ ჯონ ბარდოს, რომელსაც მსახიობ რებეკა შაუფერზე თავდასხმისას რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ წითელყდიანი ეგზემპლარი ეჭირა ხელში? იქნებ რეიგანის მოკვლის მოსურნე ჰინკლიც ამ

ნაწარმოებით იყო ზომბირებული? და საერთოდ, სერიული მკვლელების შექმნაშიც მწერალს ხომ არ მიუძღოდა წვლილი? ეს კითხვები შეიძლება, სასაცილოდაც კი მოგვეჩვენოს, რომ არა სერიულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ესეები მიმართული სელინჯერის წინააღმდეგ. აი, რას ვკითხულობთ ჩარლზ ტელიორის წერილში, რომელიც ჟურნალ The Nation-ში გამოქვეყნდა 2011 წლის 14 თებერვალს: „ამერიკელი ფსიქოპატი“ (American Psycho, 1991) რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ გავლენითაა დაწერილი, მისი მთავარი გმირი, სერიული მკვლელი პატრიკ ბეტმენი, ძალიან გავს ჰოლდენ კოლფილდს. საგანგებოდ შერჩეული მოდური გოგონების სადისტური მკვლელობები კი იმ ექსტრემიზმის ლოგიკური გამოვლინებაა, რომელსაც ჰოლდენ კოლფილდი ამჟღავნებს ღამის კლუბში გაცნობილი ქალებისადმი, ეს შერეკილის ექოა, ამოზრდილი ბრბოს სიძულვილე...“



ჩარლზ ტელიორი

ჩარლზ ტელიორი იზიარებს სელინჯერის ერთ-ერთი ყველაზე უღმრთესი კრიტიკოსის, მერი მაკკართის, მოსაზრებებს მწერლის სახიფათოობის შესახებ. ლიტერატორის აზრით, რომანის — „თამაში ჭვავის ყანაში“ — ავტორის შემოქმედება ჩაკეტილ წრეს ჰგავს, რომლის ცენტრშიც უმაღლესი ქურუმი სელინჯერი და მისი თაყვანისმცემლები დგანან, გარტე კი — ბინძური სამყაროს ბინდარი ჰოლივუდის ვარსკვლავები და მომღერლები, სკოლების თვალთმაქცი დირექტორები და პედაგოგები, ტაპერები და ეკლემი... მაკკართის მიაჩნდა, რომ სწორედ სელინჯერი გვიკითხულობდა ჩვენ და არა — ჩვენ სელინჯერს. ტელიორი უფრო რადიკალურია, მისი აზრით, მწერალი მკითხველის ზომბირებას ახდენდა და მკვლელობის ჩადენისკენ უბიძგებდა ადამიანებს. ამის დასადასტურებლად ციტატაც კი მოყავს რომანის იმ ეპიზოდიდან, რომელშიც ჰოლდენი ტვინის ასფალტზე მისხმით ემოქრება სკოლებისა და მუზეუმების კედლებზე ბილნი სიტყვების დამჯღაბნელებს. „რამდა უნდა გვიბიძგოს სელინჯერის ნაკითხვის შემდეგ დაგუბრუნდეთ ბინძურ სამყაროს“, — ირონიულად აღნიშნავს ტელიორი, — „უმჯობესია, ჩაფურცავენთ რომანს, სელინჯერის უერთგულესი მკითხველის — ჩეპმენის მსგავსად, რომელმაც ზურგი აქცია ლენონის ჯერ კიდევ თბილ გვამს, მისგან რამდენიმე ფუტის მოშორებით რომ იყო და კითხვა დაიწყო“.

აი, ასე მკაცრად და, რაც მთავარია, სრულიად უსაფუძვლოდ, აკრიტიკებს ჩარლზ ტელიორი ჯერომ სელინჯერს, მას ჰოლდენ კოლფილდის გამონათქვამებიც ალიზიანებს, ვერ ეგუება ლესბიანელებისა და გეების გარყვნილ და გაფუჭებულ ხალხად მოხსენიებასაც. რა შეიძლება, ითქვას ამაზე? ტელიორის, მაკკართისა და კაკუტანის მსგავსი ლიტერატორების პოზიცია სავსებით გასაგებია, სელინჯერის კრიტიკოსთა ეს თაობა ხომ სწორედ სექსუალური რევოლუციების ფონზე აღიზარდა!

დასასრული

გამოგონებულმა ახალმა ტექნოლოგიებმა დააზიანეს პლანეტის შინაგანი რიტმი. დაიწყო გლობალური დათბობა, რის გამოც წყალმა დაფარა კაცუნების პლანეტა. ნელ-ნელა ყველაფერი დაღბა და გაიხრწა. წყალს ვერაფერი გადაურჩა. ძეგლები დაიშალა, განჩერებულს ხავსი მოედო, ნიგნის მალაზიები დაობდა. ბოროტი კაცუნები კი წყალში გაიხსნენ, კეთილები — მათზე ადრე. ცხოველები და ფრინველები განყდნენ. ფსკერზე ჩაძირული ქალაქი წყალქვეშა სამყაროს ლიანებში მომწყვდული უსიცოცხლო სივრცე გახდა. მთის მწვერვლებზე თავშეფარებული ადამიანთა მცირე ჯგუფები სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ. წყლის დონე შეუმჩნეველად მატულობდა. ადამიანებს საკვები არ გააჩნდათ, მათ მხოლოდ თევზაობა შეეძლოთ. თევზებს კი მუცელში ქვირითი კი არა, გრაგნილები ჰქონდათ ჩალაგებული. კაცუნებმა მალე ისწავლეს თევზის თავის სასარგებლოდ მოხმარება. ხორცს ჭამდნენ და ქაღალდის გრაგნილებს გასაჭვრეტად იყენებდნენ. დურბინის მსგავსად გაიხედავდნენ გრაგნილის ჭრილში და უცქერდნენ: ცას, ჰორიზონტს, თავიანთ თანამომკმეებს, რომლებიც, ხელების ქნევით ესალმებოდნენ სხვა რომელიმე მთის მწვერვალზე თავშეფარებულები. რაც უფრო დიდი იყო თევზი, მით მეტი გრაგნილი იყო მის მუცელში და უფრო ბევრ ადამიანს შეეძლო გრაგნილის მეშვეობით სამყაროს დანახვა. ასე გადიოდა დღეები. უმოძრაობით დაოსებულ კაცუნები ისხდნენ, სიცხისგან ტყავგადამძვრალ ზურგს წყლით იგრილებდნენ და გრაგნილის ჭრილში იყურებოდნენ. დროდადრო იქვე ნაპირზე მოფართხალებ თევზს ლაყუნებს აახევდნენ და პირისკენ გააქანებდნენ...

ნარსული ფრაზები

მათ შორის იყო ერთი მოხუცი კაცი. ახალგაზრდობაში კიბეზე ჩასვლის დროს ბოლო ორ საფეხურს ახტებოდა ხოლმე. მაგრამ მერე სიბერეში, როდესაც წყალმა დაფარა ქვეყნიერება, ძველი ჩვევები მიავიწყდა და თევზის მჭამელ მცონარად იქცა, როგორც ყველა დანარჩენი მისი თანამომკმე. ერთ დღესაც მთის მწვერვალზე თავშეფარებულ ადამიანებს შორის მოგონებების მექველმანე გარდაიქცა. ვეღარ გაუძლო ახალ ყოფას, მოენატრა ჩალაღაჯი და ხაშლაძა. მხოლოდ თევზის ჭამას ვერ შეეგუა და დაიღუპა. დამწვრირდა ყველა, მაგრამ რა უნდა ექნათ? ვერაფერსაც ვერ იზამდნენ. მის ქობხასში მოხუცმა კაცმა, რომელიც ახალგაზრდობაში ბოლო ორ საფეხურს ახტებოდა ხოლმე, იპოვა ბოთლი, უცნაურ ბოთლში რაღაც ფერი სითხე ეხსა. მოენონა ბოთლი მოხუც კაცს და თავის ქობხასში შეიტანა. მაგიდაზე დადო და სიბერის ნაოჭებით დასერილი სახე ბოთლთან ძალიან ახლოს მიიტანა. დააკვირდა უცნაურ სითხეს. უყურებდა პირქუშად. ცოტა ხნის შემდეგ ცნობისმოყვარეობამ დასდგინა, მოიყუდა ბოთლი და ერთ ყლუპი დალია. ბოთლში არსებული წვენი ლურჯი გახდა. მოხუცს უცნაური ხმები ჩაესმოდა და უსახო ადამიანები ელანდებოდა. გაუკვირდა და დააკვირდა, ლურჯ სითხეს რამდენიმე წამს უყურებდა თვალმოუშორებლად. მისი თვალის გუგებში ლურჯი ფერი ირეკლებოდა, სადაც თავის წარსულს ხედავდა; როგორ შეუვარდა წყლის ღვარცოფი სახლში, როგორ გამოიკვლია ცურვით გზა გარეთ. მთელი ქვეყნიერება წყლით იყო დაფარული. საყოფაცხოვრებო ნივთები და ავეჯი წყლის ზედაპირზე ტივტივებდა. მათ შორის დაინახავდით ადამიანებს, რომლებიც საშველად ხელებს უსასოოდ ასავსავებდნენ. მათი მშველები არავინ იყო, რადგან წყლის დონე ძალიან ჩქარა მატულობდა და თვითონ სამაშველო ჯგუფებიც იხრჩობოდნენ. კაცმა იგრძნო, როგორ ექაჩებოდნენ კუნძოვით მძიმე ხლართები ფსკერისკენ. პირში ჰაერი ჩაიგუბა და დამოვრჩია წყლის დინებას. როგორც კი ჩაყვინთა, იგრძნო ბუმბულივით სიმსუბუქე და წყლის ზედაპირზე ამოყვინთა. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა

და უახლოესი მთის მწვერვალისკენ გაცურა, სადაც ადამიანთა მცირე ჯგუფს შეეფარებინა თავი. შემდეგ მოხუცმა კაცმა დაინახა, მთის მწვერვალზე სიცოცხლის გადასარჩენად როგორ იბრძოდნენ კაცუნები. აქ მათ გამოუმუშავდათ ისეთი ცხოვრების წესი და თვისებები, რაც ესლა უკვე ჩვეულებრივად აღიქმება. მაგალითად, როგორ დაიწყეს მონყენილობისგან თავის დასაღწევად გრაგნილებში ჭვრეტა. უკვირი კაცს ამეხვის დანახვა და თან ბოთლიმ დარჩენილ ლურჯ სითხეს უფრო დიდი ინტერესით უყურებს. კიდევ დაღევეს ერთ ყლუპს, ბოთლში არსებული ლურჯი სითხე ახლა მწვანე გახდებდა, უყურებს მწვანე სითხეს და ფილმის კადრებით თვალწინ ჩაუვლის წარსულს მოგონებები. უყურებს თავის წარსულს: როგორ დადის სამსახურში, სახლში დივანზე წამოგორებული როგორ უცქერის საღამოობით ტელევიზორს, როგორ გარდაეცვალა მეუღლე, როგორ ეთამაშებოდა შვილიშვილს. როგორ მოინახულებს ხოლმე თავის ვაჟს და მის ოჯახს. აი, ხედავს ბავშვებს პირში ორცხობილას უდებს და თავზე ეფერება. წარმოდგენა უცბე გაქრა. კაცმა კიდევ მოყლუპა ბოთლიდან სითხე. ყოვე-

დელი პერიოდი არ აგონდება. ამის მოლოდინში მის თვალწინ მხოლოდ ბოთლში დარჩენილი ცარიელი თეთრი სივრცე იკვებება. უფრო უსასრულო სივრცე ფართოვდება და მთლიან მის არსებას მოიცავს და თავადაც იმ სითხეს შეუერთდა. ასე გარდაიქცა ის უკანასკნელი მოხუცი ადამიანიც, ვისაც ახსოვდა წყალი დიდობამდელი ქვეყნიერება და სიკვდილის წინ აგონდებოდა კაცუნების პლანეტის ძველებური ყოფა; ამქვეყნიური ჭაპან-წყვეტის ცუდი და კარგი ამბები. როგორც იტყვიან ხოლმე, დრო გადიოდა, საუკუნეებს საუკუნეები მისდევდა. თაობები იცვლებოდა და მთის მწვერვალზე დარჩენილი კაცუნები სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ თავიანთ პირვანდელ ყოფას. ათასწლეულების წინანდელ იმ დროს როდესაც ქალაქში ძეგლები იდგა, ზოოპარკში ცხოველები იყვნენ დამწყვდეულები, ავტობუსის გაჩერებებზე მდგომ ცილინდრიან კაცებს კი მფრინავი ტექსტები ჩაუვლიდნენ ხოლმე. კაცუნების პლანეტაზე იმდენად ბევრი თაობა გამოიცვალა, რომ ახლანდელმა ადამიანებმა არც კი იცოდნენ, როგორი იყო კაცუნების სამ-

ნაშოვიდა გახარებული უდარდელი კაცი, ნალდი დარდი ვიშოვე და რალა მიჭირსო. მოძებნა მთის მწვერვალზე განმარტოებული ადგილი, ჩამოჯდა და გახსნა დარდი. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. გულიც კი არ აუტოკა, არაფერი დარდი ეს არ იყო. უდარდელი კაცი ისევე უდარდელი დარჩა. ცოტა კი გაბრაზდა, კენჭსაც ფეხი წაკრა და ჯავრიანად შეხედა მოფართხალებ თევზებს. აახია ერთ-ერთს ლაყური, გაღვება უგემურად და მისი მუცელიდან გამომავარდნილი გრაგნილის ჭრილში ჰორიზონტს გახედა. ის იყო, იფიქრა კიდევ, უდარდელი კაცი ვიყავი და ასე უდარდელად უნდა გავლიო ეტყობა ჩემი ცხოვრება, ეს ყოფილა ჩემი ბედი, რომ ამ დროს უცბე მოაფიქრდა, მოდი, ამ გრაგნილს გახსნე, იქნება და რა წერია ზედ, ნავიკითხავო. ეს ძალიან უჩვეულო მოვლენა იყო იმ დროს. ათასწლეულების განმავლობაში არცერთ გარქოვანებულ ტვირის კაცუნას აზრად არ მოსვლია გრაგნილის გახსნა. უდარდელმა კაცმა არგვლივ მიმოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო და გახსნა გრაგნილი. ტანში ყრუანტელმა დაუარა. ისეთი გრძობა დაეუფლა, თითქოს რამე საყოფელთაოდ მიღებულ კანონს არღვევდა. გახსნა გრაგნილი და ზედ ხელით დანერილი კოხტა და პატარა ტექსტი დაინახა. ნავიკითხა კაცმა და ისე მოენონა, რომ მეორე გრაგნილიც გახსნა, იმაზე სხვა ტექსტი იყო. ასე მიჰყვა და რაც გრაგნილები ეყარა მის გარშემო, ყველა გაშალა და სულმოუთქმელად კითხულობდა და კითხულობდა. ამ ტექსტებიდან გაიგო, როგორი იყო კაცუნების პლანეტა ძველად, თურმე ათასობით ცხოველის და ფრინველის სახეობა არსებობდა, რომელიც ეხლა უკვე გადაშენებულია. გრაგნილებიდან გაიგო, რა ყოფილა სიყვარული, როგორ უყვარდათ ბიჭსა და გოგოს ერთმანეთი, როგორ კითხულობდნენ წიგნებს, ავტობუსის გაჩერებებზე მდგომ ცილინდრიან კაცებს როგორ ჩაუვლიდათ ხოლმე ფრთოსანი ტექსტები, მფრინავი ტექსტების ქალაქი როგორ ცხოვრობდა და, ზოგადად, როგორი იყო სამყარო ძველად თავისი კაცუნებით და იმ ძველამოსილი ტექნოლოგიებით, რამაც გაანადგურა კიდევ კაცუნების მოდგმა. გაიგო ეს ყველაფერი კაცმა და გულზე შემოეყარა, და აი, მაშინ კი ნამდვილად დადარდიანდა. ეგრე დარდიანად გახედა ჰორიზონტს და დაფიქრდა ამქვეყნიურ ამაოებაზე...

ლევან გელაშვილი  
წიგნი, რომელსაც  
ფურცლები აკლია

ლი დაღევის შემდეგ სითხე ფერს იცვლიდა, ბოთლში წვენი ყვითელი გახდა. კაცი ხედავს თავის ახალგაზრდობას, უყურებს ბოთლს და თვალწინ უდგას თავისი ქორნილი, ახალდაქორნიებული როგორ ცხოვრობდა სახლში, როგორ შექმნიდა ვაჟი. როგორ გამოუმუშავდა ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმი: სამსახური — სახლი, სამსახური — სახლი, სამსახური — სახლი, საღამოობით კი ვახშამი ოჯახთან ერთად რესტორანში... ფანტომი ისევე გაქრა. კაცმა კვლავ ბოთლიდან დალია ერთი ყლუპი. ხედავს: როგორ დადიოდა სასწავლებელში, როგორ ესწრებოდა ლექციებს, როგორ გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, როგორ სეირნობდნენ ერთად, როგორ ჩუქნიდა ყვავილებს, როგორი ახალგაზრდა და ენერგიული იყო, ცხოვრებისეულ დაბრკოლებებს შემართებით ხედავდა... კიდევ დაღევეს ბოთლში დარჩენილ სითხეს, ბოთლში დარჩენილი წვენი ნითელი გახდებდა. ხედავს თავის ბავშვობას, როგორ დადიოდა სკოლაში, როგორ ამბობდა ლექსს სკოლის ღონისძიებაზე, როგორ მონაწილეობდა სპორტულ შეჯიბრებებში. თვალწინადაც ხედავს საკუთარ თავს ბავშვობაში. აი, სრულიად პატარა ბავშვი, თამაშობს თანატოლებთან... როგორ ანებივრდებდნენ მშობლები. კადრებად ჩაუვლის ბავშვობის ხანა სულ პანია ჩვილობამდე. მას შემდეგ, რაც მოხუცს მთელი თავისი განვლილი ცხოვრება თვალწინ წარმოუდგა, აღმოაჩინა, რომ ბოთლში ერთი ყლუპიღაც დარჩა. არ იცოდა, რა ექნა. ფიქრობდა, დაელია თუ არა. ვერ გადაენწყობდა, იჭვინულიად უყურებდა ბოთლს. მცირე ყოყმანის შემდეგ მოიყუდა ბოთლი და გამოცალა. ზის მოხუცი კაცი და უყურებს ცარიელ ბოთლს. ცდილობს, კვლავ რამე დაინახოს, მაგრამ დაბადებამ-

ყარო ძველად. ეს იმიტომ, რომ კაცუნებს ტვინი გაურქოვანდათ და უმოძრაო თევზის მჭამელ პრიმიტიულ არსებებად იქცნენ. დაღერემილი სახეებით ისხდნენ თევზის სუნი აქოთებულნი და ფხებით კბილებს იჩიჩქნიდნენ ან გრაგნილებით ჰორიზონტს უყურებდნენ. მხოლოდ გრაგნილების მეშვეობით აღიქვამდნენ ისინი უსიცოცხლო სამყაროს. ასეთი ბოძვების ეპოქა დაუდგა კაცუნების პლანეტას, საუბარიც კი იშვიათი იყო და წერა-კითხვაც ცოტამ იცოდა ადამიანებს შორის...

უდარდელი კაცი

ამათ შორის იყო ერთი კაცი. ამ კაცს არაფერი დარდი არ ჰქონდა, ამიტომ უდარდელი კაცი იყო. იმიტომ, რომ არაფერი დარდი არ ჰქონდა, უდარდელი კაცი არავის უყვარდა. რა უნდა ექნა უდარდელ კაცს? ადგა და პატარა დარდები მოიგონა. პანია დარდების კაცი ხალხს შეუყვარდა, რადგან იფიქრეს, ესეც ჩვენ-ნაირიაო. გამოსხა ხანი. როდესაც პანია დარდების კაცი მოხუცდა, პანია დარდების მოხუცი გახდა. მაგრამ სიბერის სუნთქვას გრძობდა ბექებთან. მობზრდა სიყალბეში ცხოვრება; ნიღბების კარნავალი, ნაცნობების კალეიდოსკოპი, კუბიკ-რუბიკი ურთიერთობები და მოგონილი დარდებით დაძმობებული კაცის სახელი. რა უნდა ექნა? ადგა და მივიდა დარდების შემგროვებელ კაცთან. კაცურად, ერთი სასიქაულყო, ნამდვილი დარდი მომეცი, თორემ აღარ შემიძლია ასე ცხოვრებაო. აი, ისეთი, ხალხში რომ გამოვიდო და გულში მჯილის ცემით ჩემი ბობოქარი ხმით და უმნიკვლო სიტყვებით ჩემი დარდი ისე დავასურათხატო, ყველას შეუყვარდო. დარდების შემგროვებელმა უხმარად ქცეული პლანეტის მინამგვანები დარდი მისცა.

წიგნი

ის დღე იყო და ის დღე, მოსვენება დაკარგა კაცმა. დღემუდამ გრაგნილებს დაეძებდა და აგრძობდა. იმდენად მოეწონა კაცს გრაგნილებზე დანერული ტექსტები, რომ გადაწვდიდა წიგნად აქინდა. მთის მწვერვალზე თავშეფარებულ კაცუნებს ისედაც დიდად არ უყვარდათ „უდარდელი“ კაცი და ახლა სულ მთლად მოიძულეს და გარიყეს. კაცმა გრაგნილების შემგროვებას მთელი ცხოვრება შესწირა. თითქოს უფრო მოემატა ენერგია და შემართება, როდესაც ცხოვრების მიზნად გრაგნილების შემგროვება და წიგნად აკინდა გადაწვდიდა. და აჰა, კაცმა აკინდა წიგნი — სიგრძით სამასი, სიგანით ორმოცდაათი, სიმალლით ოცდაათი წერთა. და შემდეგ, როდესაც წყალმა საბოლოოდ დაფარა ქვეყნიერება იმდენად, რომ მთის მწვერვლებიც კი ეხვეწებოდა ვანიხევენდნენ, ღვარცოფმა კაცუნები დაახრჩო. კაცმა ვებერთელა წიგნი თავისი თავი ერთ რიგით ეპიზოდურ პერსონაჟად ჩაწერა და გაქრა. წიგნმა ნარმატებით იცურა უკიდევანო ოკეანეში ორმოცი დღე და ორმოცი ღამე. იტივტივა და გაჩერდა. წყლის დონემ დაიკლო და ხმელეთი გამოჩნდა. ნიავე დაუბერა, გადაიშალა წიგნის ფურცლები და გაცოცხლდა ნიყო ყველა სახის სულიერმა, ვინც კი წიგნში იყო მოხსენიებული. ასევე ყველა სახის ფრინველი — დედალ-მამალი და ცხოველი, ქვეწარმავალი და სულიერი, ყველა — ორ-ორი სქესის, ვინც მოხსენიებული იყო წიგნში, გაცოცხლდა და დაიწყო ცხოვრება. ადამიანთა მოდგმას ახალი სიცოცხლე მიენიჭა. და დაიწყო ახალი მოდგმის ისტორია. წიგნი ასე იწყებოდა: გამარჯობა, მე ვარ მიტოვებული პერსონაჟი...

ლიტერატურული გაზეთი  
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
საქართველოს მხარეთა სახლი  
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზაიძევილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული  
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com